გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიში

ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ

2022

აღნიშნული ანგარიში მომზადდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით.

დოკუმენტი ასევე მომზადდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობისთვის გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ოფიციალურ პოლიტიკას ან შეხედულებებს.

თემატური მოკვლევის შესახებ

2022 წლის 20 ივნისს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო თემატური მოკვლევა „ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ“.

თემატური მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა:

ბაია კვიციანი - თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარი მომხსენებელი, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი

ნინო წილოსანი - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე

რამინა ბერაძე - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი

ანა ბუჩუკური - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი

მარიამ ლაშხი - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი

გიორგი ცაგარეიშვილი - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი

ხატია წილოსანი - გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანია საქართველოში ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული ხარვეზების, გამოწვევებისა და ბარიერების შესწავლა, რომელიც ხელს უშლის ქალების და გოგოების რესურსებზე წვდომას.

თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიში საჯაროა და ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე www.parliament.ge

შინაარსი

ანგარიშის შეჯამება 6

ტერმინთა განმარტება 11

I. შესავალი 13

II. კვლევის ამოცანები და მეთოდოლოგია 15

III. ინფრასტრუქტურის სფეროში საკანონმდებლო-ინსტიტუციური ჩარჩო, გამოვლენილი გამოწვევები, საუკეთესო პრაქტიკები და რეკომენდაციები 16

1. ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების თანაბარი ჩართულობა და წარმომადგენლობა . 17

1.1 საკანონმდებლო ვალდებულებები 17

1.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები 18

1.3 საუკეთესო პრაქტიკები 21

1.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები 22

2. საგზაო ინფრასტრუქტურის სფერო 25

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი 25

2.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები 26

2.3 საუკეთესო პრაქტიკები 29

2.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები 30

3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის სფერო 32

3.1 წყალმომარაგების სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი 32

3.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები 34

3.3 საუკეთესო პრაქტიკები 36

3.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები 37

4. ტრანსპორტირება 39

4.1 ტრანსპორტირების სფეროს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო 39

4.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები 41

4.3 საუკეთესო პრაქტიკები 46

4.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები 48

5. ინტერნეტზე წვდომა 51

5.1 ინტერნეტის ინფრასტრუქტურის სფეროს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო 51

5.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები 53

5.3 საუკეთესო პრაქტიკები 55

5.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები 56
IV. რეკომენდაციების ცხრილი 57
V. გამოყენებული წყაროები 69
VI. დანართი #1 - თემატური მოკვლევის კითხვარი 70
VII. დანართი #2 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები 75

ანგარიშის შეჯამება

ინფრასტრუქტურა ცენტრალურია ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, საყოველთაო კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისთვის. ინფრასტრუქტურაზე თანაბარი წვდომა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და ინკლუზიურ განვითარებას, და სოციალური თანასწორობის მიღწევას.[1] არსებითია, რომ საზოგადოების ყველა წევრს და მათ შორის ქალებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 52%-ს შეადგენენ, ჰქონდეთ თანაბარი წვდომის შესაძლებლობა ინფრასტრუქტურაზე. ხარისხიან ინფრასტრუქტურაზე წვდომის გაუმჯობესება ამცირებს ქალების მიერ საყოფაცხოვრებო სამუშაოზე დახარჯულ დროს და ზრდის მათ შესაძლებლობას უფრო ნაყოფიერად ჩაერთონ შრომის ბაზარზე, სოციალურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში.

საქართველოში ქალების და გოგოების ინფრასტრუქტურაზე წვდომის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის, უთანასწორობების გამოვლენის და ამ უთანასწორობების აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, 2022 წლის ივნისში შეიქმნა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფი. თემატური მოკვლევის ფარგლებში გაანალიზდა, საქართველოში არსებული ინფრასტრუქტურის გავლენა ქალების კეთილდღეობაზე და გამოიკვეთა, არსებული ინფრასტრუქტურული ბარიერები, რომელიც ქალების და გოგოების სოციალურ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას აფერხებს. თემატური მოკვლევის ანგარიში მოიცავს საგზაო, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტირების და ინტერნეტის ინფრასტრუქტურის სფეროს ანალიზს. ასევე ანგარიშში ცალკე თავად გამოიყო ქალების ინფრასტრუქტურის სფეროში მონაწილეობა. ანგარიშის სტრუქტურა დაყოფილია თითოეული ინფრასტრუქტურის მიმართულების მიხედვით და მოიცავს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზს, მოკვლევის ძირითად მიგნებებს, საუკეთესო პრაქტიკების მიმოხილვას, თემატური მოკვლევის რეკომენდაციებს. თემატური მოკვლევის ჯგუფმა მიმართა, კვლევის როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდს, ჩაატარა სამიზნე-ჯგუფების მოსმენები 5 მუნიციპალიტეტში და ასევე ყველა მუნიციპალიტეტიდან და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოითხოვა და გაანალიზა რაოდენობრივი მონაცემები.

საყურადღებო გამოწვევებია ქალების ინფრასტრუქტურის სფეროში მონაწილეობის მიმართულებით. მაგალითად, მაღალ მუნიციპალური თანამდებობებზე ქალების წარმომადგენლობა საგრძნობლად დაბალია, 64 მუნიციპალიტეტიდან 3 მერი და 2 საკრებულოს თავმჯდომარე არის ქალი. 125 მერის მოადგილეთა შორის 12 ქალია და საკრებულოს 119 თავმჯდომარის მოადგილეთა შორის ასევე 12 ქალია.[2] ქალების სათანადო ჩართულობა მაღალ მუნიციპალურ პოზიციებზე არსებითია, ვინაიდან როგორც სამიზნე ჯგუფების მოსმენებიდან გამოვლინდა, მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი ქალების ინფრასტრუქტურულ პრიორიტეტებს ქალები თანამდებობის პირები უკეთესად იცნობენ და ადვოკატირებენ მუნიციპალიტეტთან ქალების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მუნიციპალიტეტების მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურებში ქალების წარმომადგენლობა 19%-ია, ხოლო საკრებულოს

[1] Infrastructure for Gender Equality and the Empowerment of women, United Nations Office for Project Services (UNOPS), 2020
[2] მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებიდან ამოღებული ინფორმაცია.

ინფრასტრუქტურის კომისიებში 12%. სამწუხაროდ, ინფრასტრუქტურა დღემდე სტერეოტიპულად კაცურ სფეროდ მიიჩნევა, სადაც კაცების დომინირება თვალშისაცემია, ეს თავის მხრივ კი განსაზღვრავს ქალების ნაკლებ სურვილს და მოტივაციას ჩაერთონ ამ სფეროში. ასევე, ქალების წარმომადგენლობა ინფრასტრუქტურულ სამშენებლო სამუშაოებსა და სატრანსპორტო გადაყვანის სფეროში 1%-ზე დაბალია. თემატური მოკვლევის ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების ჩართულობის წამახალისებელი ღონისძიებების და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელების თაობაზე.

გამოწვევას წარმოადგენს, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებში ქალების თანაბარი ჩართულობაც, რაც თავის მხრივ გამოწვეულია მათი არასათანადო ინფორმირებით და საოჯახო საქმიანობით გამოწვეული დროითი სიღარიბით. 35%-ია ქალების წარმომადგენლობა დასახლების საერთო კრებებზე, სადაც ხშირად აირჩევა დასახლებაში განსახორციელებელი მცირე ინფრასტრუქტურული ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ ქალების დაბალი ჩართულობის გამო ნაკლებად ჟღერდება მათთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული საჭიროებები, როგორიცაა წყალმომარაგება, ბავშვების გასართობი და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, სტადიონები, გარე განათებები. თემატური მოკვლევის ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ ინფორმაციის განთავსება დასახლებების კრებების თაობაზე მოხდეს ისეთ საჯარო ობიექტებზეც, რომელსაც ქალები ხშირად სტუმრობენ, მაგალითად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. ასევე, მუნიციპალიტეტებში საკომუნიკაციო არხად თანდათან დაინერგოს მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემა.

გამოვლინდა გამოწვევები საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც, რომლებიც ქალებს განსაკუთრებულ წინაღობებს უქმნის. კერძოდ, ქალებისთვის გადაადგილებისას სირთულეებს წარმოშობს ტროტუარის არარსებობა ასფალტირებულ გზებზე, ვინაიდან ძირითადად ფეხით ქალები გადაადგილდებიან. თემატური მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ტროტუარები მხოლოდ საქართველოს 160-მდე დასახლებაშია (დასახლებების 5%-ში) და ძირითადად ქალაქებშია მოწყობილი. სამიზნე-ჯგუფის დისკუსიებიდან გამოვლინდა, რომ ტროტუარების სიმწირე თავის მხრივ გამოწვეულია საკანონმდებლო რეგულაციით, რომლის მიხედვით საავტომობილო გზების რეაბილიტაციისას, ახალი ტროტუარების და საცალფეხო ბილიკების მოწყობა ხორციელდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.[3] თემატური მოკვლევის ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე დასახლებულ პუნქტებში ტროტუარები მოეწყოს გზების რეაბილიტაციის თანადროულად. ასევე გაიცა რეკომენდაცია, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელს პროექტებს ჩამონათვალში, გზებსა და გზისპირა მოსაცდელებს დაემატოს ტროტუარებიც.

ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევად გამოვლინდა რეკრეაციული ტერიტორიების სიმწირე სოფლად. ქალები ხშირად არიან ისეთი სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი მომხმარებლები, როგორიცაა საჯარო სივრცეები, პარკები და დასვენების ადგილები. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, მხოლოდ 800-მდე (23%) დასახლებაში არსებობს სკვერები ან ბავშვთა გასართობი მოედნები. ქალებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვების გასართობი ადგილების სიმწირე,

[3] „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N172-ე დადგენილება

ვინაიდან დამატებითი ძალისხმევის გაწევა და დროის გამოყოფა უწევთ ბავშვების გასართობი აქტივობებისთვის, რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავებს მათ დროით სიღარიბეს. თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა მუნიციპალიტეტის მიერ განხილულ იქნეს გენდერულად მგრძნობიარე პროექტად და რეკრეაციული ტერიტორიების დიზაინისას გათვალისწინებული იქნეს გოგოების ინტერესები თამაშებთან, სპორტთან და სხვა დასასვენებელ აქტივობებთან დაკავშირებით.

წყალზე ხელმისაწვდომობის ზრდა არსებითი ნაბიჯია გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ქალებისა და გოგონების გაძლიერებისკენ. ქალაქების მოსახლეობის დაახლოებით 92%-ს და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 64%-ს წყალი ონკანით მიეწოდება, მაშინ როცა ქალაქის მოსახლეობის 84%-ს და სოფლად მცხოვრებ 20%-ს მიუწვდება ხელი კანალიზაციაზე, ხოლო მთელი მოსახლეობის მხოლოდ 36% სარგებლობს წყალარინების გამწმენდი სისტემით.[4] ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერული როლების გამო, ქალების მიერ მოხმარებული წყლის ოდენობა ბევრად აღემატება კაცების მიერ მოხმარებულ წყლის ოდენობას, ვინაიდან ქალების მიერ წყლის მოხმარება ძირითადად დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო საქმიანობასთან.[5] წყალი გამოიყენება არა მხოლოდ სასმელად, არამედ საკვების მოყვანისა და მომზადებისთვის, შინაური ცხოველების მოვლისთვის, ჰიგიენის უზრუნველყოფისთვის, ავადობის მართვისთვის, წმენდისთვის, რეცხვისთვის და ნარჩენების წყალარინებისთვის[6]. აღნიშნულ საქმიანობებს კი საოჯახო მეურნეობებში ძირითადად ქალები ახორციელებენ.

წყალმომარაგების გრაფიკით მიწოდება და წყლის შორი მანძილიდან ხელით მოტანა, რეცხვასთან დაკავშირებული სირთულეები ქალებს განსაკუთრებით უქმნის წინაღობებს და ზრდის მათ მიერ წყლის მოპოვებისა და მოხმარებისათვის გამოყოფილ დროს. თემატური მოკვლევის ჯგუფმა მუნიციპალიტეტებს მისცა რეკომენდაცია, რომ იმ დასახლებებში, სადაც წყალმომარაგების ლიცენზიანტი არ ოპერირებს და წყლის მიწოდება გრაფიკით ხორციელდება, მოსახლეობას მიაწოდოს წყალი ცისტერნით. ასევე მუნიციპალიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია, ინფრასტრუქტურის პოლიტიკის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღონ წყალმომარაგების პროექტების მკვეთრად გენდერული ხასიათი. ასევე აღსანიშნავია სარწყავი წყლის პრობლემა, რომელიც ქალებს სათანადო მოსავლის მიღებაში უშლით ხელს. თემატური მოკვლევის ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია ქალის მიერ მართული ფერმერული მეურნეობების იდენტიფიცირებისა და სარწყავ წყალზე ქალების საჭიროებების კვლევასთან დაკავშირებით.

გენდერული თანასწორობის კუთხით მნიშვნელოვანია უსაფრთხო წყლისა და სანიტარული სისტემის მართვა. ქალებსა და გოგოებზე არაპროპორციულად მოქმედებს უხარისხო წყლის, სანიტარული და ჰიგიენური სერვისების სიმცირე.[7] კანალიზაცია მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მხოლოდ დასახლებების 2%-ში. ასევე, გამოვლინდა, რომ იმ დასახლებებში სადაც წყალმომარაგების ლიცენზიანტი არ ოპერირებს, სასმელი წყლის ხარისხის შემოწმებას არარეგულარული ხასიათი აქვს. თემატური

[4] "საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" მონაცემები, 2019
[5] "Water conservation awareness and practices in households receiving improved water supply", A gender-based analysis, Journal of Cleaner Production, 2017
[6] "Gender, Water and Sanitation", A Policy Brief, Inter-agency Task Force on Gender and Water (GWTF), 2006
[7] Ibid

მოკვლევის ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ ყველა დასახლებაში შემოწმდეს წყალი, რომელსაც მოსახლეობა სასმელად იყენებს. ასევე გაიცა რეკომენდაცია პრობლემურ მრავალბინიან სახლებში ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემების დამონტაჟების ხელშეწყობის შესახებ.

გამართული სატრანსპორტო სერვისის არსებობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ქალების გაძლიერების მიმართულებით, ვინაიდან გადაადგილების საშუალებად ქალები ძირითადად საზოგადოებრივ ტრანსპორტს ირჩევენ, რაც თავის მხრივ გამოწვეულია კერძო ავტომობილების ფლობის დაბალი მაჩვენებლით. რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების მხოლოდ 19%-ს ფლობენ ქალები. ქალთა მობილობა გენდერულად წინასწარგანსაზღვრულია და ძირითადად უკავშირდება მათ მიერ ყოველდღიური, ანაზღაურებული და აუნაზღაურებელი შრომის შესრულებას.[8] ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სოფლად ქალთა ყოველდღიური გადაადგილების მაჩვენებელი, ქალაქთან შედარებით, ნაკლებია.[9] ტრანსპორტის არარსებობას უარყოფითი გავლენა აქვს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ქალების მითითებით ტრანსპორტის არ არსებობის გამო უარი უთქვამს დასაქმებაზე. ქალების მობილობა პირდაპირ არის დამოკიდებული მათი შემოსავლის ოდენობაზე. მცირე შემოსავლის მქონე ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი (38.4%) იშვიათად ან საერთოდ არ გადის სახლიდან.[10]

საქართველოში მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება. კერძოდ, მუნიციპალური ტრანსპორტი მოქმედებს მხოლოდ 23 მუნიციპალიტეტში და იფარება მხოლოდ 270-მდე დასახლება (8%).[11] ძირითადად სატრანსპორტო გადაყვანა ხორციელდება კერძო სამარშუტო ტაქსების მიერ. ევრო-სტანდარტის ავტობუსები მხოლოდ 10-მდე მუნიციპალიტეტში ოპერირებს.[12] ასევე, მუნიციპალიტეტებს შორის სამგზავრო გადაყვანის სფეროც არ არის სათანადოდ რეგულირებული და ხორციელდება კერძო ოპერატორების მიერ. ასევე, გამოწვევად გამოვლინდა ტრანსპორტის მოძრაობის არახელსაყრელი გრაფიკი სამუშაო დროსთან, სატრანსპორტო გადაყვანის მონიტორინგის ნაკლებობა, ტრანსპორტირების მაღალი საფასური, ფეხით გადაადგილება, რაც უმეტესწილად ქალების ეკონომიკაში ჩართულობას, განათლების მიღების შესაძლებლობას და მზრუნველობითი როლის შესრულებას ართულებს. თემატური მოკვლევის ჯგუფმა გასცა ქალაქიდან სოფლებამდე მიმავალი ტრანსპორტის გრაფიკის სამუშაო საათებთან შესაბამისობაში მოყვანის და კერძო სატრანსპორტო ოპერატორებისათვის დაწესებული გრაფიკისა და მარშრუტის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების რეკომენდაცია. ასევე, ექიმების/ექთნების და მასწავლებლების გართულებული სატრანსპორტო გადაადგილების გამოწვევის აღმოსაფხვრელად საჭიროებების კვლევის და შესაბამისი ნაბიჯების დასახვის რეკომენდაცია მიეცათ პასუხისმგებელ უწყებებს.

სატრანსპორტო გადაყვანის სფეროში ქალების დაბალი წარმომადგენლობის გამოწვევის დასაძლევად თემატური მოკვლევის ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, ქალი მძღოლების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორცილების თაობაზე. ხოლო ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის გაიცა რეკომენდაცია სექსუალური შევიწროების

[8] "ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021
[9] "ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021
[10] „ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021
[11] მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია
[12] მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

დეფინიციისა და შესაბამისი უწყებების საკონტაქტო ინფორმაციის ტრანსპორტში განთავსების შესახებ. იმ დასახლებებში, სადაც შესაბამისი სტანდარტის ავტობუსები მოძრაობენ, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს გაჩერებების აუდიო-ვიდეო გამოცხადება. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული საჭიროების დასაფარად სამოქმედო გეგმის შემუშავების თაობაზე.

ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებლები გენდერული ნიშნით თითქმის არ განსხვავდება. ასევე, ქალები და კაცები თანაბრად ფლობენ კომპიუტერს და მობილურ ტელეფონებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი ბევრად დაბალია სოფლად, ქალაქთან შედარებით. ამდენად სოფლად მაცხოვრებლებისთვის ხშირად არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების თაობაზე, რომელიც მუნიციპალიტეტების ვებგვერდსა ან სოციალურ ქსელებში ქვეყნდება. ასევე, ინტერნეტით არ არის აღჭურვილი მუნიციპალიტეტების მერის წარმომადგენლების 280 ოფისზე მეტი, სადაც მოსახლეობას შეეძლებოდა სოფლიდან გაუსვლელად მიეღო მუნიციპალური თუ სხვა საჯარო სერვისი. ეს შესაძლებლობა ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობას განსაკუთრებით გაზრდის ქალებში, ვინაიდან, მაგალითად, 61 წელზე მეტი ასაკის ქალების ნახევარი იშვიათად ან საერთოდ არ გადის შინიდან.[13] შესაბამისად, რეკომენდაციად გაიცა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ოფისების ინტერნეტზე წვდომის და კომპიუტერული ტექნიკის საჭიროებების კვლევა, ამ საჭიროებების დასაფარად საქმიანობების დასახვა და მუნიციპალური სერვისების მიღებისთვის ტრენინგების ჩატარება მერის წარმომადგენლებისათვის და სოფლად მცხოვრები ქალებისათვის.

ინტერნეტის არარსებობა განათლებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით განსაკუთრებულ გამოწვევებს უქმნის სოფლად მაცხოვრებელ მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და დედებს, რაც მკვეთრად გენდერულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მასწავლებლების 87%-ს ქალები წარმოადგენენ, ხოლო საშინაო დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უმეტესწილად დედები ეხმარებიან. შესაბამისად, რეკომენდაციად გაიცა სოფლად, განსაკუთრებით კი მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსწავლეების და მასწავლებლების ინტერნეტზე წვდომის საჭიროებების კვლევა და გადაჭრის გზების მოძიება. გამოწვევას ასევე წარმოადგენს ICT სფეროში ქალების დაბალი წარმომადგენლობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა 25% არის ქალი, ხოლო კაცი 75%. ICT სფეროში გოგოების მონაწილეობის წასახალისებლად გაიცა რეკომენდაცია ზოგად საგანმანთლებლო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

შესაბამისად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ რეკომენდაციები შემუშავდა გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, რომლის შესრულებაზე მონიტორინგსაც განახორციელებს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

[13] „ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

ტერმინთა განმარტება

ინფრასტრუქტურა - საინჟინრო-ტექნიკური, სატრანსპორტო, ასევე საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები - საერთაშორისო შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ერთობლიობა.

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა - საქართველოს და სხვა სახელმწიფოების დამაკავშირებელი გზები.

შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა[14] **-** საქართველოს დედაქალაქს, ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის დამაკავშირებელი გზები. აგრეთვე, მათი შემოსავლელები და მათთან მისასვლელები და აეროპორტებთან და ნავსადგომებთან მისასვლელი გზები.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზა - მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების და ამავე მუნიციპალიტეტის დასახლებებთან და დასახლებებს შორის დამაკავშირებელი გზები. აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გზები.

სარეკრეაციო ტერიტორია - განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში გამწვანებული ტერიტორიაა მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი, ღია სათამაშო მოედნები და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიები.

წყალსარგებლობა - წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ.

წყალმომარაგების საქმიანობა – სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის ან/და წყალარინების სისტემის ექსპლუატაცია, წყლის მომხმარებლებისთვის სასმელი წყლის მიწოდება ან/და წყალარინება კონკრეტული სასმელი წყლის წყალმომარაგების ან/და წყალარინების სისტემის/სისტემების ფარგლებში.[15]

წყალარინება - ჩამდინარე წყლის გატარება და გამწმენდი ნაგებობების საშუალებით დასაშვებ ნორმამდე გაწმენდა.

წყალარინების სისტემა – წყალარინების ქსელების, როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა უდაწნეო ან/და სადაწნეო მილსადენების, გვირაბების, სპეციალური შენობა-ნაგებობების (გამწმენდი ნაგებობა, სატუმბი სადგური და სხვა) და მოწყობილობა-დანადგარების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისგან ჩამდინარე წყლების მიღებას, გატარებას და დასაშვებ ნორმამდე გაწმენდას.

სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემა – წყლის მიღების, ტრანსპორტირებისა და განაწილების ქსელის (მილსადენი, რეზერვუარი, ღია და დახურული არხები, საჭიროების შემთხვევაში, სატუმბი სადგური და სხვა) ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება წყლის მომხმარებლისთვის სასმელი წყლის მისაწოდებლად“

[14] „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონი
[15] "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონი

სატრანსპორტო საშუალება – მგზავრების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდად, აგრეთვე საავიაციო სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული მოძრავი სატრანსპორტო ერთეული: საავტომობილო, სპეციალური, საზღვაო, საჰაერო, სამდინარო.[16]

მძღოლი – ფიზიკური პირი, რომელიც მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას საავტომობილო გზაზე დადგენილი წესით.[17]

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა – შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით მგზავრთა გადაყვანა, აგრეთვე, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანა.

რეგულარული გადაყვანა – მგზავრთა მრავალჯერადი გადაყვანა, რომელიც სრულდება იმ განსაზღვრულ მარშრუტზე, მოძრაობის დადგენილი განრიგის შესაბამისად, რომლით სარგებლობის უფლებაც აქვს ნებისმიერ პირს.

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება – საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი განსაზღვრული საფასურის სანაცვლოდ სთავაზობს მსურველ ოპერატორს ან მომხმარებელს. [18]

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა – ოპტიკური კაბელ(ებ)ის, საკანალიზაციო არხების, ბოძების, ჭების, კოლოფების, ტერმინალური მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების, მონაცემთა გადაცემის ქსელის/აპარატურის ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი გამტარობის (არანაკლებ 1გბ/წმ) საკომუნიკაციო არხების მოწყობის შესაძლებლობას ერთზე მეტ დაშვების წერტილებს შორის.[19]

დაშვების წერტილი – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის მფლობელობაში არსებული სატელეკომუნიკაციო კვანძი, რომელიც იძლევა სხვა ოპერატორებისათვის დაშვების მომსახურების მიწოდების საშუალებას.

[16] "ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონი
[17] "საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონი
[18] "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონი
[19] „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება

I. შესავალი

ინფრასტრუქტურა ცენტრალურია ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, საყოველთაო კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისთვის. ის ხელს უწყობს ქვეყნის პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტების განხორციელებას, მაგალითად, სამუშაოებზე და გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, სიღარიბის და შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას, რეგიონული თანასწორობის ხელშეწყობას და ზოგადად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.[20]

ინფრასტრუქტურა საზოგადოების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი შემადგენელია. ადამიანის სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, როგორიცაა სუფთა სასმელ წყალზე, დასაქმების ადგილებზე წვდომა საჭიროებს შესაბამისი წყალმომარაგების, საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების (მაგ. სიტყვის თავისუფლება, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობა) რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო და ხარისხიანი IT ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა.[21] ინფრასტრუქტურაზე თანაბარი წვდომა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და ინკლუზიურ განვითარებას და სოციალური თანასწორობის მიღწევას.[22] საქართველოს მოსახლეობის 52%-ს ქალები წარმოადგენენ. ერთის მხრივ, ქალების ინფრასტრუქტურაზე თანაბარი წვდომა ზრდის მათ სოციალურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალურად და ეკონომიკურად ძლიერი ქალები ხელს უწყობენ ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.[23]

ინფრასტრუქტურის დაგეგმვაში გენდერული მეინსტრიმინგი გულისხმობს აღქმის უარყოფას, რომ ინფრასტრუქტურა ნეიტრალური და უნივერსალურია.[24] გენდერულად სენსიტიური მიდგომა ინფრასტრუქტურის დაგეგმარებისას აანალიზებს თანაბარ წვდომას ინფრასტრუქტურაზე და იკვლევს კავშირს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გენდერულ როლებს შორის.[25]

ხარისხიან ინფრასტრუქტურაზე წვდომის გაუმჯობესება ამცირებს ქალების მიერ საყოფაცხოვრებო სამუშაოზე დახარჯულ დროს და ზრდის მათ შესაძლებლობას უფრო ნაყოფიერად ჩაერთონ შრომის ბაზარზე, სოციალურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში. გზებზე მობილობის გაზრდა ქალს საგანმანთლებლო აქტივობებსა და შრომის ბაზარზე ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. წყლის და სანიტარული სერვისები ასევე გადამწყვეტია ქალის დროითი სიღარიბის შესამცირებლად, რადგან სასმელი წყლის მოტანაზე ხშირად ქალები იღებენ პასუხისმგებლობას.[26] აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები ქალები კვირაში

[20] "Selected stocktaking of good practices for inclusion of women in infrastructure", The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), 2021
[21] "Human rights and infrastructure", KfW Development Research, 2018
[22] Infrastructure for Gender Equality and the Empowerment of women, United Nations Office for Project Services (UNOPS), 2020
[23] Ibid
[24] Benefits Gender Equality Through Infrastructure Provision: EU-wide survey, European Institute for Gender Equality (EIGE), 2020
[25] Ibid
[26] Thematic evaluation "Asian Development Bank Support for Gender and Development (2005-2015)", 2017

სამჯერ უფრო მეტ დროს (45 საათს) უთმობენ აუნაზღაურებელ საოჯახო საქმიანობას კაცებთან შედარებით.[27]

საქართველოში ქალების და გოგოების ინფრასტრუქტურაზე წვდომის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის, უთანასწორობების გამოვლენის და ამ უთანასწორობების აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, 2022 წლის ივნისში შეიქმნა თემატური მოკვლევის სამუშაო ჯგუფი. თემატური მოკვლევის ფარგლებში გაანალიზდა, საქართველოში არსებული ინფრასტრუქტურის გავლენა ქალების კეთილდღეობაზე და გამოიკვეთა, არსებული ინფრასტრუქტურული ბარიერები, რომელიც ქალების და გოგოების სოციალურ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას აფერხებს. თემატური მოკვლევის ანგარიში მოიცავს საგზაო, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტირების და ინტერნეტის ინფრასტრუქტურის სფეროს ანალიზს. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მიმართულებები თემატური მოკვლევის ფოკუსად შეირჩა, რადგან ქალების გაძლიერებისათვის არსებითია გამართული სატრანსპორტო სერვისების და საგზაო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, რეკრეაციული ტერიტორიების სიმრავლე, უწყვეტი წყალმომარაგება, ინტერნეტზე და ელექტრონულ სერვისებზე შეუფერხებელი წვდომა.

ანგარიშის სტრუქტურა დაყოფილია თითოეული ინფრასტრუქტურის მიმართულების მიხედვით და მოიცავს **საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ჩარჩოს -** შესაბამისი ინფრასტრუქტურის სფეროში უფლებამოსილი სახელისუფლებლო ინსტიტუციების გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო ვალდებულებების ანალიზს; **მოკვლევის ძირითად მიგნებებს** - თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილ ბარიერებს და გამოწვევებს, რომლებიც ქალებს ინფრასტრუქტურაზე წვდომის მიმართულებით ხვდებათ; **საუკეთესო პრაქტიკების მიმოხილვას** - საქართველოს მუნიციპალიტეტებში გამოვლენილ და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკებს, რომლებიც ზრდის წვდომას ინფრასტრუქტურაზე და ამკვიდრებს გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს, **თემატური მოკვლევის რეკომენდაციებს** - თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, რომლის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

[27] ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), 2018

II. კვლევის ამოცანები და მეთოდოლოგია

თემატური მოკვლევის პროცესი მიმდინარეობდა 2022 წლის ივნისიდან 2022 წლის ნოემბრის პერიოდში. თემატური მოკვლევის მიზანს წარმოადგენს ქალებისთვის ინფრასტრუქტურაზე წვდომის მიმართულებით ბარიერების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება, რაც საბოლოოდ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მექანიზმის გამოყენებით უზრუნველყოფს აღნიშნული ბარიერების შემცირებას და წვდომის გაუმჯობესებას. საკვლევ საკითხს წარმოადგენს ქალების და გოგოების მისაწვდომობა საგზაო ინფრასტრუქტურაზე, წყალმომარაგებაზე, ტრანსპორტირებასა და ინტერნეტზე. ამას გარდა, თემატური მოკვლევის ჯგუფმა გაანალიზა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების და გოგოების შინაარსობრივი მონაწილეობა. თემატური მოკვლევის ჯგუფმა მიმართა, კვლევის როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდს, ჩაატარა სამიზნე-ჯგუფების მოსმენები და ასევე ადმინისტრაციული ორგანოებიდან შეაგროვა რაოდენობრივი მონაცემები.

ანალიზი განახორციელდა ერთის მხრივ ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შესწავლით, ხოლო მეორე მხრივ საქართველოში ქალების და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურულ რესურსებზე მისაწვდომობის ბარიერების გამოვლენით. გამოვლენილი გამოწვევების და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით, თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები.

თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობების შესაბამისად, მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი და ჩაატარა 15 სამიზნე-ჯგუფის მოსმენები ხუთ მუნიციპალიტეტში - თეთრიწყაროს, გორის, დედოფლისწყაროს, ქობულეთის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული მუნიციპალიტეტების შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა რეგიონული განშლა და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ჯგუფებით დასახლებული დასახლებების სიმრავლე - კერძოდ, შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ცხოვრობს დევნილი, გამყოფი ხაზის პირას მყოფი, ეკო-მიგრანტი, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ქალები. სამიზნე-ჯგუფების მოსმენები წარიმართა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების მონაწილეობით.

ამას გარდა, თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარი და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან და შესაბამისი სამთავრობო უწყებებიდან ადმინისტრაციული მონაცემები გამოითხოვა.

თემატური მოკვლევის ჯგუფმა მიიღო მონაცემები რეგიონებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. ასევე, ჩატარდა ზეპირი მოსმენები 13 და 24 ნოემბერს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მათ დაქვემდებარებაში და მართვაში არსებულ სუბიექტების და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით.

.

III. ინფრასტრუქტურის სფეროში საკანონმდებლო-ინსტიტუციური ჩარჩო, გამოვლენილი გამოწვევები, საუკეთესო პრაქტიკები და რეკომენდაციები

„სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი11, პუნქტი 3,

ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის ეფექტური უზრუნველყოფისთვის, არსებითია სფეროს ჯეროვანი რეგულირება. გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურის სისტემის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ძლიერი პოლიტიკის შემუშავება და სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება, გამჭვირვალედ და ჯეროვნად მართული საჯარო დაწესებულებები, პროცესში ჩართული კვალიფიციური პირები, რომლებიც განახორციელებენ გენდერულ მეინტრიმინგს ინფრასტრუქტურის განვითარების ყველა ციკლის ფარგლებში.[28] თემატური მოკვლევის წინამდებარე თავი მიმოიხილავს საკანონმდებლო ჩარჩოს საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, ტრანსპორტირების და ინტერნეტზე წვდომის სფეროებში.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ ინფრასტრუქტურის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტია. კოდექსი მიზნად ისახავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნას; საქართველოს მთელი ტერიტორიისა და მისი ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგებას საჯარო ინტერესებისა და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე; სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფას.[29] კოდექსი ითვალისწინებს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს და ინკლუზიურ ინფრასტრუქტურულ განვითარებას.[30] კოდექსი ასევე განსაზღვრავს სოციალურად სამართლიან მიწათსარგებლობის, ღირსეული და უსაფრთხო გარემოს შექმნის, მოსახლეობის (განსაკუთრებით – ოჯახების, ბავშვების, ახალგაზრდების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების) მოთხოვნილებების გათვალისწინებას.

არსებითი თანასწორობის პრინციპი ასევე ასახულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს შექმნას სათანადო პირობები ქალებისა და მამაკაცების შესაძლებლობების თანაბარი რეალიზაციისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.[31]

[28] "Infrastructure for gender equality and the empowerment of women", UNOPS, 2020
[29] საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი
[30] იგივე
[31] "გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონი

„ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ ქალების თანაბარი ჩართულობა სოფლის განვითარების პროცესში და თანასწორი სარგებლის მიღება, კერძოდ, ქალებს უფლება აქვთ ისარგებლონ ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით, განსაკუთრებით წყალმომარაგებით, ტრანსპორტით და კომუნიკაციებით.[32]

ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის ასპექტების ინტეგრაციას ითვალისწინებს პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმაც, კერძოდ, სტრატეგიული F.2 და F.3 მიზნის შესაბამისად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქალთა თანაბარ ხელმისაწვდომობას რესურსებზე და დარწმუნდეს, რომ ქალების პრიორიტეტები გათვალისწინებულია სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებისას ისეთ ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა წყალი და წყალარინება, ტრანსპორტი და გზის მშენებლობა; წაახალისოს ბენეფიციარ ქალთა უფრო მეტი ჩართულობა პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე. სახელმწიფომ უნდა განავითაროს საჯარო ინფრასტრუქტურა ქალი მეწარმეებისთვის შრომის ბაზარზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.[33]

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების 5.4 სამიზნე ინდიკატორის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა აღიაროს და დააფასოს ქალის აუნაზღაურებელი შინშრომა საჯარო სერვისების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის მომსახურების თანაბარი მიწოდებით და ოჯახში პასუხისმგებლობის გადანაწილების ხელშეწყობის გზით.

1. ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების თანაბარი ჩართულობა და წარმომადგენლობა

1.1 საკანონმდებლო ვალდებულებები

საქართველოში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების და გოგოების პრიორიტეტების გათვალისწინების, ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე მათი თანაბარი წარმომადგენლობის, ინფრასტრუქტურის სტრუქტურულ ერთეულებში მათი დასაქმების ხელშეწყობის და უშუალოდ ინფრასტრუქტურის განხორციელებისას მათი ჩართულობის უზრუნველყოფის ვალდებულებებს.

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ქალების და გოგოების სრული და თანაბარი მონაწილეობა ყველასთვის ინკლუზიური გარემოს მშენებლობაში და გააძლიერონ მათი როლი განვითარების პროცესებში. ეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებით არსებითია ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა სივრცითი დაგეგმარების და ურბანული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სფეროში.[34]

[32] Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women
[33] Beijing Declaration and Platform for Action
[34] Beijing Declaration and Platform for Action

„ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ქალების უფლებას და შესაძლებლობას, კაცებთან თანაბარ პირობებში, რომ მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, ეკავოთ სახელისუფლებლო პოსტები და შეასრულონ ყველა მმართველობითი ფუნქცია ხელისუფლების ყველა დონეზე.[35]

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის და უზრუნველყოფს პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების და თანამდებობრივი დაწინაურების უფლებას.[36]

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, მერის მრჩეველთა საბჭოში, რომელსაც მერი განსახილველად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს, ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.[37]

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე სეკუნდა მუხლის შესაბამისად, დასახლების საერთო კრებაზე, რომელსაც უფლება აქვს, განიხილოს/წარადგინოს შენიშვნები და წინადადებები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახვამდე შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტების, ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და კაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომ ქალები ავტომატურად ისარგებლებენ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტებით ისევე, როგორც კაცები. რეალურად, ქალებს ინფრასტრუქტურაზე წვდომის განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ, ვინაიდან მათ წინაშე განსხვავებული გამოწვევები დგას სიღარიბის, უმუშევრობის, ეკონომიკური მდგომარეობის და პოლიტიკურ ცხოვრებაში დაბალი ჩართულობის გამო. ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღებისას ინკლუზიურმა პროცესმა უნდა მისცეს შესაძლებლობა პოლიტიკის შემქმნელ, ინფრასტრუქტურაში დასაქმებულ და საბოლოო მომხმარებელ ქალებს, რომ ისმოდეს მათი ხმა შესაბამისი ინვესტიციების განხორციელებისას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ როდესაც ქალებს აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფრო ხშირად საუბრობენ საჯაროდ საბაზისო ინფრასტრუქტურაზე წვდომის აუცილებლობის საკითხებზე.[38]

[35] Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women
[36] საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“
[37] „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი
[38] Ibid

ჩატარებული სამიზნე-ჯგუფის მოსმენებისას და შესაბამისი უწყებების თუ ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების წარმომადგენლობის და ჩართულობის მიმართულებით შემდეგი გამოწვევები გამოვლინდა:

ქალების დაბალი წარმომადგენლობა მაღალ თანამდებობებზე - 64 მუნიციპალიტეტიდან 3 მერი და 2 საკრებულოს თავმჯდომარე არის ქალი. 125 მერის მოადგილეთა შორის 12 ქალია და საკრებულოს 119 თავმჯდომარის მოადგილეთა შორის ასევე 12 ქალია.[39] ქალები შენიშნავენ, რომ მათ ხმას მუნიციპალიტეტში მერის მოადგილე ქალი, მაჟორიტარი ქალები ან გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ქალები აჟღერებენ და გამოთქვამენ კმაყოფილებას მათთან თანამშრომლობით. ასევე, სამიზნე-ჯგუფის მონაწილეებს განცდა რჩებათ, რომ რადგან მერის წარმომადგენლების და მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა კაცია, ქალების პრობლემები მუნიციპალიტეტამდე სათანადოდ არ მიდის. ასევე აღნიშნავენ, რომ ქალებს აქვთ უფრო მეტი წვდომა ინფორმაციაზე დასახლების დონეზე არსებული პრობლემების შესახებ და ამ ცოდნის ჯეროვნად გამოყენება არ ხორციელდება ქალების დაბალი ჩართულობის გამო.

ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების დაბალი წარმომადგენლობა - მუნიციპალიტეტების მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურებში ქალების წარმომადგენლობა 19%-ია, ხოლო საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიებში 12%. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამის მიზეზად უთითებენ კომპეტენტური ქალი კადრების ნაკლებობას და ქალების მხრიდან დაბალ ინტერესს. ხოლო სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალები, ამის მიზეზად ხედავენ, იმას, რომ ქალს შესაძლოა ინფრასტრუქტურა კაცურ საქმედ მიაჩნდეს და ჰქონდეს შიში, რომ თავად ვერ გაუძღვება სათანადოდ. არსებული დისბალანსის გამო ქალს თითქოს უჩნდება განცდა, რომ ინფრასტრუქტურაში მისი ადგილი არ არის.

„ზედამხედველობის სამსახურში, როცა ვაკანსია ჩნდება ქალბატონები არ მოდიან. მე თვითონ არ მომინდებოდა ინფრასტრუქტურაში მემუშავა“ -
ამბობს მუნიციპალიტეტის ქალი წარმომადგენელი.

სამიზნე-ჯგუფის მოსმენების მონაწილეები ქალები შიშობენ, რომ ინფრასტრუქტურის საკითხებზე დასაქმებულ კაცებს არ აქვთ სათანადო ცოდნა ქალების ინფრასტრუქტურული გამოწვევების შესახებ.

„ყოფილა ინიციატივები, რომელიც ინფრასტრუქტურის კომისიის წევრ ორ ქალსაც გაუტანია, თუმცა ძირითადად ისეთი ინიციატივები მოაქვთ, რომელიც არ არის დასაკმაყოფილებელი. თუკი ქალის მოსაზრება რაციონალურია, აუცილებლად ვითვალისწინებთ და გავითვალისწინებთ.
ასევე, კომისიაში რატომ გგონიათ რომ თავმჯდომარეა გადამწვეტი, ქალი რატომ უნდა იყოს თამჯდომარე, თავმჯდომარის ხმა მხოლოდ ერთი ხმაა.“
- აღნიშნავს საკრებულოს წევრი კაცი.

დასახლების კრებების თაობაზე ქალების არასათანადო ინფორმირება - სამიზნე-ჯგუფის მონაწილეები უთითებენ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული დასახლებების კრებების თაობაზე ინფორმაცია მუნიციპალიტეტისგან სათანადოდ არ მიეწოდება მოსახლეობას. ძირითადად ინფორმაციის გავრცელების წყარო არის - სოციალური ქსელები, მერიის შენობაში ინფორმაციის განთავსება, მერის წარმომადგენლების ან მერიის თანამშრომლების მიერ მოსახლეობასთან სატელეფონო კავშირი, არასამთავრობო

[39] მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდებიდან ამოღებული ინფორმაცია.

ორგანიზაციების ჩართულობით მოსახლეობის ინფორმირება. სოციალურ ქსელებთან და მერიის ვებგვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ქალები უთითებენ, რომ არაეფექტური წყაროა, რადგან ინტერნეტზე მისაწვდომობა სოფლებში დაბალია. მერიის შენობაში მოქალაქეები იშვიათად ხვდებიან და ინფორმაციის იქ განთავსებაც არაეფექტურად მიაჩნიათ. არასამთავრობო ორგანიზაციები კი უთითებენ, რომ მათი რესურსი ვერ წვდება ყველა მოსახლის ინფორმირებას. ხშირად ქალები საკვირაო ბაზარში იგებენ ერთმანეთისგან დასახლების კრების შესახებ.

დაგეგმილ კრებებთან დაკავშირებით ხშირად მერის წარმომადგენლები ან მუნიციპალიტეტის თანამშრომლები მოსახლეობას სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებენ. ამასთან დაკავშირებით ქალები აღნიშნავენ, რომ მერის წარმომადგენლები ძირითადად კაცები არიან და ოჯახშიც კაცებს უკავშირდებიან. მათი მითითებით, საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული ნორმებიდან გამომდინარე, კაცი მერის წარმომადგენელი ქალს ვერ დაურეკავს. შესაბამისად, სატელეფონო კავშირით დასახლებების საერთო კრებებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებისას ქალებთან პირდაპირი კომუნიკაცია იშვიათად მყარდება.

„კაცებს ურეკავს ოჯახში გამგეობის თანამშრომელი, ქალს ვერ დაურეკავს და ვერ სთხოვს კრებაზე დასწრებას. ძირითადად კაცები კაცებს ატყობინებენ კრებებზე.“ - აღნიშნავს ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალი

<u>დასახლების კრებებზე ქალების დაბალი წარმომადგენლობა</u> - სამიზნე-ჯგუფის მონაწილე კაცები ხშირად უთითებდნენ, რომ დასახლების კრებებს უმეტესად ქალები ესწრებიან და კაცებთან შედარებით მეტად აქტიურობენ. თუმცა ქალების დაკვირვებით, ქალების წარმომადგენლობა კრებებზე დაბალია. რეალურად, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, დასახლების კრებებზე ქალების მონაწილეობის საშუალო მაჩვენებელი 35%-ია. სამიზნე-ჯგუფის მონაწილე უთითებს, რომ ადამიანი, რომელიც ძირითადად სახლშია, საოჯახო საქმიანობით არის დაკავებული და არ არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ნაკლებად მონაწილეობს კრებებზე. ქალებს ხშირად კრებებზე კაცების სიმრავლე აბრკოლებთ და ყოფილა შემთხვევა, ქალს მას მერე გადაუწყვიტავს აღარ დაესწროს კრებებს, რაც კრებაზე თითქმის სულ კაცები დახვდნენ.

<u>ქალების დაბალი აქტიურობა და ინიციატივების სიმცირე</u> - სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალების მხოლოდ მესამედს დაუყენებია პირადად ან ჯგუფურად ინიციატივები დასახლების კრებებზე. ასევე, მათი შეფასებით, ძირითადი ტენდენცია არის ის, რომ ქალების მხრიდან დიდი აქტიურობა არ შეინიშნება და უმეტეს შემთხვევაში მხარს უჭერენ კაცების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს. ისეთ დასახლებებში, სადაც წყალმომარაგებასთან ან უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებული ყოფითი პრობლემებია, ქალები უფრო აქტიურობენ. ასევე, აღნიშნავენ რომ ქალის მიერ დაჟინებით მოთხოვნის დაყენება საზოგადოებაში ცუდ ტონად მიიჩნევა. მუნიციპალიტეტის კაცი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ქალები სათანადოდ არ აქტიურობენ და იმიტომ არ ხდება მათი ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინება.

<u>ინიციატივების დაფინანსება, რომელიც არ ემთხვევა ქალების პრიორიტეტებს -</u> რაც შეეხება დაფინანსებულ პროექტებს, სამიზნე-ჯგუფის მონაწილეების დაკვირვებით, კაცები ძირითადად აყენებენ ფანჩატურების ანუ ე. წ „ბირჟების“, სარიტუალო სახლების მშენებლობის[40],

[40] აღსანიშნავია, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებაში 2020 წლის 16 იანვარს შესული ცვლილებით, დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების მე-2 მუხლით

სასაფლაოების შემოღობვის ინიციატივებს. ქალებისთვის კი პრიორიტეტულია ბავშვების გასართობი სივრცეების მოწყობა, სტადიონები, ტრენაჟორები, წყალმომარაგება, გარე განათებები და სხვა. სამიზნე-ჯგუფის მონაწილეები უთითებენ, რომ ვინაიდან ქალების წარმომადგენლობა კრებებზე დაბალია, ძირითადად კაცების გატანილი ინიციატივები ფინანსდება.

„სოფლის კრებაზე დავაყენე საკითხი და კაცებს დამცინავი დამოკიდებულება ჰქონდათ, როცა გაიგეს, რომ ბავშვის საქანელებს ვითხოვდი. ასე მითხრეს, რომ სხვა უფრო მნიშვნელოვან პრობლემებს თუ ვერ ამჩნევო? და ამ დროს, სარიტუალო სახლები აარჩიეს, რომელსაც დღეს აღარავინ იყენებს და ისედაც ქალაქში ჩამოდიან ქელეხისთვის“ - აღნიშნავს სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალი.

აღსანიშნავია, რომ საბაზისო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, როგორიცაა წყალმომარაგება და საგზაო ინფრასტრუქტურა ქალებს და კაცებს არსებითად განსხვავებული გენდერული პრიორიტეტები არ აქვთ.

<u>ჩაბარებული პროექტების ხარისხი და მონიტორინგის პრობლემა</u> **-** მოქალაქეები უთითებენ, განხორციელებული პროექტების მონიტორინგი პრობლემას წარმოადგენს და ხშირია დაუსრულებელი ან უხარისხოდ შესრულებულო პროექტების ჩაბარების შემთხვევები. მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში წყლის სათავე ნაგებობა უნდა დამონტაჟებულიყო, რომელსაც 3 სოფელი უნდა უზრუნველეყო წყალმომარაგებით. მიუხედავად იმისა, რომ სასმელი წყლის პრობლემა ვერ მოგვარდა, მუნიციპალიტეტმა მაინც ჩაიბარა უხარისხოდ შესრულებული პროექტი და ხელახლა გამოაცხადა ტენდერი.

1.3 საუკეთესო პრაქტიკები

ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისას გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიის დღის წესრიგში დაყენება ნიშნავს ცენტრალურმა და ადგილობრივმა მთავრობებმა დაუთმონ დრო და რესურსები ინსტიტუციური ექსპერტიზის შექმნას და შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა საკითხების გააზრება გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიის პრიზმიდან მოხდეს. სამხრეთ იორკშირში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და პროექტების დიზაინერებმა ქალებთან ერთად დაათვალიერეს საჯარო სივრცეები და დაინტერესდნენ მათი გამოცდილებით ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებით. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები გაითვალისწინეს ინფრასტრუქტურის დაგეგმვის პროცესებში. მას შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლება ტენდერების გამოცხადებამდე ისმენს ქალების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს ინფრასტრუქტურის დიზაინთან დაკავშირებით.[41]

ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის დაგეგმვის, ისე შეფასების დროს. საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა ინფრასტრუქტურის პროექტის მომზადების და შეფასების ფაზების დროს ადგილობრივ მაცხოვრებელ ქალებთან კონსულტაციების გამართვა, რომლის ცხოვრებაზეც უშუალოდ აისახება ინფრასტრუქტურული

გათვალისწინებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი აღარ ითვალისწინებს ფანჩატურების და სარიტუალო სახლების მშენებლობის პროექტების დაფინანსებას, შესაბამისად, ასეთი პროექტები უკანასკნელ წლებში არ დაფინანსებულა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ტრანსფერის ფარგლებში.

[41] "Towards Gender-Inclusive and Sustainable Transport Systems", Policy Paper, Tiffany Lam for UK Women's Budget Group, 2021

პროექტის სარგებელი. გასათვალისწინებელია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ქალები ძირითადად შინამეურნეობებში არიან დასაქმებულები, სასურველი მიდგომაა, კონსულტაციების ჩატარდეს ცალკე ქალებთან ქალი ფასილიტატორის მიერ, რადგან ქალები ნაკლებად სავარაუდოა, რომ თავისუფლად ისაუბრებენ კაცებთან ერთად თავის საჭიროებებზე.[42]

კონსულტაციების და მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმების დროს ქალების თანაბარი წარმომადგენლობისთვის საჭიროა სათანადო ინფორმირება. მოქალაქეთა ინფორმირების ნაწილში საუკეთესო გამოცდილებად მიიჩნევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემა. მობილური შეტყობინებებით ადგილობრივი მოსახლეობა რეგულარულად იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეხვედრების თარიღების და განსახილველი საკითხების, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. შეტყობინების მიღება ნებაყოფლობითია და ეგზავნება მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც გამოთქვეს ინტერესი და წერილობითი თანხმობა განაცხადეს.[43] აღნიშნული სისტემის გამოყენება უპრიანი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის ეტაპზე მოქალაქეთა კონსულტაციების თუ დასახლების საერთო კრებებთან დაკავშირებით ინფორმირებისას.

1.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში ქალების თანაბარი ჩართულობის და წარმომადგენლობის მიმართულებით გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

<u>რეკომენდაცია 1:</u>

მუნიციპალიტეტების მერების და საკრებულოს თავმჯდომარეების მიერ მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ თანამდებობებზე და მერის წარმომადგენელების პოზიციაზე ქალების წარმომადგენლობის გაზრდისათვის შესაბამისი წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 2:</u>

ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ქალების საქმიანობის პოპულარიზება საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მათ მართვაში არსებული და დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტები.

---

[42] "Making Infrastructure Work for Women And Men", A Review Of World Bank Infrastructure Projects (1995-2009)

[43] „სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში SMS-ების მეშვეობით", სტატია, 2016

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 3:</u>

უმაღლესი/პროფესიული განათლების საფეხურზე ინფრასტრუქტურის სპეციალობებით გოგოების/ქალების დაინტერესებისთვის ზოგადი განათლების საფეხურის დამამთავრებელი სკოლის მოსწავლე გოგოებთან შეხვედრების ჩატარება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 4:</u>

მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების და საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 5:</u>

მუნიციპალიტეტების მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და სხვა კომუნიკაციის ფორმებთან ერთად დასახლების საერთო კრებებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების საშუალებად მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემის თანდათან დანერგვა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 6:</u>

დასახლებების საერთო კრებების, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კონსულტაციების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვების თაობაზე ინფორმაციის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტენდებსა და ბაზრის შესასვლელებთან განთავსება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის პირველი კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 7:</u>

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემდგომ მოსახლეობის, მათ შორის, დასახლებაში მცხოვრები ქალების კმაყოფილების შეფასება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 8:</u>

დასახლებებში გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურის თაობაზე ცნობიერების ამაღლება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირები, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი

<u>რეკომენდაცია 9:</u>

შესაძლებლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების ბენეფიციარების სქესის და ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მონაცემების წარმოების დაწყება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 10:</u>

დასახლებების საერთო კრებების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობის სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ასახვა. ასევე, ოქმში მოკლე ინფორმაციის სახით კრებებზე ქალების მიერ დაყენებული ინიციატივების და საჭიროებების ასახვა. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიერ ოქმის ერთიანი ნიმუშის შემუშავება და სარეკომენდაციო სახით გაზიარება მუნიციპალიტეტებისთვის. ბიუჯეტის საჯარო განხილვების და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კონსულტაციების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობის სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ასახვა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 11:</u>

ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მუნიციპალიტეტების მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 12:</u>

2022 წლის მანძილზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის გენდერული გავლენის შეფასების განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

2. საგზაო ინფრასტრუქტურის სფერო

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზები თავისი მნიშვნელობის მიხედვით იყოფა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად.[44]

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების საკითხებში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.[45] სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას განეკუთვნება. მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესაკუთრე, ახორციელებს მუნიციპალური გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება. მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.[46]

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, გზის შემადგენელი ნაწილებია, მათ შორის, გზის გასწვრივ მდებარე საველოსიპედო და საცალფეხო ბილიკები, განათების მოწყობილობათა ელემენტები და გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები.[47] შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილში, თემატური მოკვლევის ფარგლებში ასევე

[44] საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“
[45] „საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 ივლისის N385 დადგენილება
46 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
[47] საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ"

შესწავლილ იქნა წვდომა საცალფეხო ბილიკებზე (ტროტუარებზე), გარე-განათებებზე, გასაჩერებელ და დასასვენებელ მოედნებზე (მოსაცდელები, რეკრეაციული ტერიტორიები).

შესაბამისად, საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით ინტერვენციები შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ქვემოთ მოცემული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში:



ილუსტრაცია #1

2.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

ქალაქებსა და სოფლებში გზების დაგებას დადებითი გავლენა აქვს ადამიანების ეკონომიკურ გაძლიერებაზე.[48] სოფლის გზების მოწესრიგება ზრდის წვდომას დასაქმებასა და გასაღების ბაზრებზე.[49] საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით სხვადასხვა დასახლებებში გზების ასფალტირებული საფარის სიმწირე ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ასევე გამოწვევებად იდენტიფიცირდება ტროტუარების, რეკრეაციული ტერიტორიების, კაპიტალური სანიაღვრე არხების, შუქნიშნების, დასახლების პერიფერიულ ნაწილებში გარე განათებების სიმწირე და გარე ტრენაჟორების არათანაბარი გამოყენება.

საგზაო ინფრასტრუქტურის სფეროში სამიზნე-ჯგუფების მოსმენების და უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

<u>ასფალტირებული გზებისა და ტროტუარების სიმწირე</u> - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მეირ მოწოდებული მონაცემებით, საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების 89%, შიდა სახელმწიფოებრივი გზების 67%, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზების 53% არის კარგ მდგომარეობაში. საქართველოში, მოსახლეობის 42% ცხოვრობს სოფლად და ხშირად იყენებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს. სამიზნე-ჯგუფების მოსმენებისას გამოვლინდა, რომ ქალების

[48] Thematic evaluation "Asian Development Bank Support for Gender and Development (2005-2015)", 2017
[49] Ibid

უმრავლესობისთვის პრიორიტეტულია ასფალტის საფარიანი გზა მიდიოდეს სკოლამდე, ბაღამდე, ამბულატორიამდე და სხვა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებამდე.

მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი ადმინისტრაციული მონაცემების მიხედვით, ტროტუარები მხოლოდ საქართველოს 160-მდე დასახლებაში (დასახლებების 5%-ში) და ძირითადად ქალაქებშია მოწყობილი.[50] სამიზნე ჯგუფის მოსმენებიდან გამოვლინდა, რომ ქალებისთვის გადაადგილების სირთულეებს წარმოშობს ტროტუარის არარსებობა ასფალტირებულ გზებზე. სოფლის გზებს თითქმის არ აქვს ტროტუარები, რაც ქალებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ისინი ხშირად იყენებენ გზის სავალ ნაწილებს ბავშვების ბაღში და სკოლაში წასაყვანად. მანქანის გამოვლის შემთხვევაში ქალებს და ბავშვებს სიარულის შეწყვეტა და მანქანის გატარება უწევთ. ამასთანავე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ასფალტირებულ გზაზე მანქანები უფრო სწრაფად მოძრაობენ და ტროტუარების არარსებობა განსაკუთრებით საფრთხის შემცველია ქვეითად მოსიარულეთათვის. შესაბამისად, თემატური მოკვლევა ცხადყოფს, რომ საავტომობილო გზების ასფალტის საფარით უზრუნველყოფასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ტროტუარების მოწყობა გზის მიმდებარედ.

საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, საავტომობილო გზების რეაბილიტაციისას, ახალი ტროტუარების და საცალფეხო ბილიკების მოწყობა ხორციელდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.[51] სამიზნე-ჯგუფის მოსმენებიდან, ტროტუარების საჭიროებასთან დაკავშირებით, გენდერულად განსხვავებული პასუხები გამოვლინდა. ადგილობრივი თვითმმართველობების ინფრასტრუქტურის სამსახურების ზოგიერთი წარმომადგენელი არ თვლის ტროტუარების მოწყობას პრიორიტეტულ საკითხად, ვინაიდან სოფელში ტრანსპორტის დაბალი დატვირთვიდან გამომდინარე, ასეთი ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროება არ დგას და ამის თაობაზე მოსახლეობის მოთხოვნა არ არსებობს. ამას გარდა, მათი თქმით, ტროტუარების მოწყობა ზრდის ხარჯებს ან გზის სივიწროვის და ტროტუარისთვის საჭირო ადგილის კერძო საკუთრებაში არსებობის გამო შეუძლებელია ტროტუარების გათვალისწინება.

გენდერული თანასწორობის ევროპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ევროპის ქვეყნებში კაცებთან შედარებით ქალები, მსგავსად საქართველოში მცხოვრები ქალებისა, უფრო მეტად ადასტურებენ საჭიროებას ისეთ საჯარო ინფრასტრუქტურაზე როგორიცაა, ტროტუარი და საცალფეხო ბილიკი.[52]

როგორც ქალაქის, ასევე დაბის და სოფლის ტიპის დასახლებებში, ტროტუარების ადაპტირება კვლავ არსებით გამოწვევად რჩება. არაადაპტირებული ტროტუარები გადაადგილების წინაღობებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მათ შორის შშმ ქალებისთვის. ტროტუარების ადაპტირება ასევე მნიშვნელოვანია ჩვილი ბავშვების ეტლით გადაადგილებისას.

<u>გარე განათებების დაფარვის ზონის გაზრდის და სანიაღვრე არხების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება</u> - გარე განათება და სანიაღვრე არხები გზის შემადგენელი

[50] დათვლილია დასახლებული დასახლებების რაოდენობიდან

[51] „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის N172-ე დადგენილება

[52] https://eige.europa.eu/gender-statistics/dgs/indicator

ნაწილებია, რომლებიც მნიშვნელოვანია ქვეითის უსაფრთხო გადაადგილებისთვის. გარე განათება აუმჯობესებს ხილვადობას, ამცირებს ავარიების შემთხვევებს,[53] ადამიანებს თავს დაცულად აგრძნობინებს და ამცირებს ქურდობის ან სექსუალური შევიწროების შემთხვევებს.[54] სამიზნე-ჯგუფის მოსმენების შედეგად გამოიკვეთა, რომ ქალებისთვის გარე განათებების შიდა უბნებსა და პერიფერიულ ნაწილებში დამონტაჟება სწორედ დასახლებაში უსაფრთხო გადაადგილებისათვის არის საჭირო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა გარე განათებების რაოდენობა. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გარე განათებები მოწყობილია 2000-ზე მეტ დასახლებაში (61%), თუმცა ფოკუს ჯგუფებიდან ირკვევა, რომ გარე განათების გარეშეა დარჩენილი ზოგიერთი სოფლის შიდა უბნები და პერიფერიულ ნაწილები. გარე განათებების მოწყობის საკითხებს ხშირად ქალები ადვოკატირებენ მუნიციპალიტეტთან.

„ქალები ზაფხულში კაფეებში მუშაობდნენ და უსაფრთხო გადაადგილებაზე პრობლემები ექმნებოდათ. მათი მრავალწლიანი მოთხოვნა იყო გარე განათება და მე როგორც ქალმა, ადვოკატირება გავუწიე ამ საკითხს მუნიციპალიტეტში“

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილია სანიაღვრე არხებიც, რომლებიც ასევე დაკავშირებულია ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებასთან. ფოკუს ჯგუფ დისკუსიებისას სანიაღვრე არხებთან დაკავშირებით გამოვლინდა სხვადასხვა გამოწვევა, მათ შორის, სანიაღვრე არხების კაპიტალური მოწყობის და ხშირ შემთხვევაში გადახურვის საჭიროებაც. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები საუბრობდნენ სანიაღვრე არხში ბავშვების ჩავარდნის შემთხვევებზე. ასევე, გაუმართავი სანიაღვრე სისტემის გამო სავალ ნაწილზე წყლის დონის მატება წინაღობებს უქმნით მოსწავლეებს ფეხით გადაადგილებისას. ასევე ქვეითთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია შუქნიშნების და ზებრა-გადასასვლელების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დასახლებების მხოლოდ 2%-შია შუქნიშნები დამონტაჟებული.

<u>რეკრეაციული ტერიტორიების სიმწირე</u> - ქალები ხშირად არიან ისეთი სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი მომხმარებლები, როგორიცაა საჯარო სივრცეები, პარკები და დასვენების ადგილები. ეს ხშირად გამოწვეულია ქალებისთვის განსაზღვრული მზრუნველის ტრადიციული როლიდან.[55] იკვეთება, რომ ქალებისთვის პრიორიტეტია მოსასვენებელი ადგილებისა და სკვერების მოწყობა, თუმცა იგივე საჭიროებებზე კაცები თითქმის არ მიუთითებენ. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, მხოლოდ 800-მდე (23%) დასახლებაში არსებობს სკვერები ან ბავშვთა გასართობი მოედნები.

სამიზნე-ჯგუფებში მონაწილე ქალები უთითებენ, რომ მათთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვების გასართობი ადგილების სიმწირე, ვინაიდან დამატებითი ძალისხმევის გაწევა და დროის გამოყოფა უწევთ ბავშვების გასართობი აქტივობებისთვის, რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავებს მათ დროით სიღარიბეს.

[53] "Safer road treatments, street-lighting" Road safety toolkit, International Road Assessment Programme (iRAP)
[54] "Better lighting, wider pavements: steps towards preventing sexual violence in New Delhi" Case study, UN WOMEN, 2013
[55] "Gender equality and sustainable infrastructure" OECD, 2019

სიმწირესთან ერთად, სამიზნე-ჯგუფებიდან გამოვლინდა, რომ გამოწვევას წარმოადგენს ასეთი სივრცეების ადგილმდებარეობა და უსაფრთხოების საკითხები - კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც რეკრეაციული ტერიტორია სოფელისგან მოწყვეტილ ადგილზე ან სოფლის ბოლოში კეთდება და ყველა მოსახლისთვის მარტივად მისადგომი არ არის. ხშირად სკვერებში არ არის ხეები და ჩრდილი, რაც მის გამოყენებას ართულებს. სკვერის გვერდით შესაძლოა არხი გადიოდეს, არ იყოს დაგებული რბილი საფარი ან ამოწეული ბორდიურები ქმნიდეს საფრთხეს ბავშვების თამაშისას.

<u>გარე ტრენაჟორებით სარგებლობა</u> - გენდერული სხვაობა გამოვლინდა გარე ტრენაჟორების გამოყენებასთან დაკავშირებით, სამიზნე-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობა უთითებს, რომ ტრენაჟორებს ძირითადად კაცები იყენებენ და ქალები თავს იკავებენ ტრენაჟორებზე ვარჯიშისგან. ხშირად ქალებს ტრენაჟორებზე ვარჯიში, სწორედ იქ შეკრებილი კაცების სიმრავლის გამო ერიდებათ. ასევე, ტრენაჟორების არათანაბარი გამოყენების მიზეზად იდენტიფიცირდება ქუჩის პირას, ხილვად ადგილას მდებარეობა, კაცების თავყრილობა სალაპარაკოდ ან სასმლის დასალევად და სტერეოტიპული დამოკიდებულები ქმრების მხრიდან ქალის საჯარო ვარჯიშთან დაკავშირებით. აღნიშნული წინაღობების მიუხედავად არსებობენ ქალები, რომლებიც აქტიურად იყენებენ ტრენაჟორებს. ხშირად ქალებს და კაცებს ტრენაჟორის გამოყენების დროები აქვთ დაყოფილი. მაგალითად, ქალები ძირითადად დილით ადრე, 7 საათზე ვარჯიშობენ.

> „მე თუ მინდა ვივარჯიშო, ბირჟის დროს თავს შევიკავებ, იქნება ისეთი დრო როცა ბიჭები არ იქნებიან და მერე ვივარჯიშებ“- აღნიშნავს სამიზნე-ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე.

2.3 საუკეთესო პრაქტიკები

ვენა ერთ-ერთი გენდერულად დაბალანსებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქია, რომელიც ურბანული დიზაინისას ითვალისწინებს საზოგადოების ფართო ჯგუფების საჭიროებებს. ვენის გენდერული პოლიტიკით, ქალაქში ტროტუარი უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრი, 2 ეტლის თავისუფლად გატარებისათვის და ჰქონდეს გადასასვლელებთან შემაღლებული რელიეფი.[56] ამერიკის ტრანსპორტირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ტროტუარებისა და საფეხმავლო ბილიკებისთვის რეკომენდებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, სოფლებში შესაძლოა ტროტუარების მოწყობისათვის სხვადასხვა ეტაპების გავლა იყოს საჭირო, პირველ რიგში, უნდა მოხდეს გრუნტოვანი ბილიკების გამოყოფა გზიდან, შემდგომ კი მოპირკეთებული ტროტუარების დაგება. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განსაზღვრული სტანდარტით, ტროტუარები ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული გზის მშენებლობის პროექტებში, ვინაიდან ტროტუარების ცალკეულ პროექტებისთვის თანხის გამოყოფასთან შედარებით, ბევრად ხარჯ ეფექტიანია. მაგალითად, ტროტუარები შეიძლება საჭირო გახდეს საცხოვრებელ ქუჩებზე, სკოლის მიმდებარე არტერიულ ქუჩებსა და საცხოვრებელ უბნებს შორის დამაკავშირებელ გზებზე. გზის გაფართოების შემთხვევაში არ უნდა შემცირდეს არსებული

[56] "Gender mainstreaming in Vienna" examples, Department for Gender Mainstreaming

გზისპირა ბილიკის სიგანე.[57] ბრაზილიის გამოცდილებამ ცხადყო, რომ გზებზე მოწესრიგებული ტროტუარები ფეხით გადაადგილებისა და უსაფრთხოების მაჩვენებლებს ზრდის, განსაკუთრებით კი დაბალი შემოსავლის მქონეთა უბნებში.[58]

თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული ზეპირი მოსმენებისას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ დასახლებებში გამავალ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე თითქმის ყოველთვის აგებენ ტროტუარებს. ასევე, ხშირად მოსახლეობის მხრიდან ხვდებათ რეზისტენტული დამოკიდებულება და ცნობიერების ამაღლებაც უწევთ, რომ ტროტუარები მათ უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ემსახურება. ასევე, სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ ტროტუარისთვის საჭირო ადგილის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, აქვს სათანადო ანაზღაურებით გამოსყიდვის გამოცდილება. ასევე უთითებენ, რომ ინფრასტრუქტურის სფეროში ხშირად უზიარებენ მუნიციპალიტეტებს საუკეთესო გამოცდილებებს.

რაც შეეხება რეკრეაციული ტერიტორიების შესახებ არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, განსაკუთრებით საგულისხმოა ვენის გამოცდილება, სადაც საჯარო სივრცეების დიზაინის ცვლილება გენდერულად მგრძნობიარე გადაწყვეტებით განხორციელდა. ვენაში ჩატარებული კვლევით, 10-დან 13 წლამდე გოგონები ნაკლებ დროს ატარებდნენ საჯარო პარკებში. ამიტომ, საჯარო პარკების პროექტირებისას გაითვალისწინეს კონკრეტულად მათი ინტერესები თამაშებთან, სპორტთან და სხვა დასასვენებელ აქტივობებთან დაკავშირებით. გოგოებისთვის მნიშვნელოვან აქტივობებს შორის გამოვლინდა ფრენბურთი, ბადმინტონი, გორგოლაჭებით სეირნობა, კლდეზე ცოცვა, საქანელების გამოყენება და სხვა.[59] უსაფრთხოებასთან დაკავშირებით პროექტების დიზაინისას გათვალისწინებული იყო გოგოების პრიორიტეტები. პარკებში საფეხმავლო ბილიკები დაპროექტდა განათებული ქუჩების და საცხოვრებელი სახლების პირდაპირი ხედვით, მოწესრიგდა საპირფარეშოები სათამაშო მოედანთან ან პარკთან ახლოს. პატარა ბავშვის მშობლების პრიორიტეტების შესაბამისად, ბავშვებისთვის ცალკე გამოიყო სათამაშო ადგილები, საკმარისი რაოდენობის სკამებით და მაგიდებით სათამაშო მოედნების ხედვის არით, სკვერების გარკვეული ადგილები დაიჩრდილა ხეებით ან გადახურვით, ხელმისაწვდომი გახდა სუფთა დასალევი წყალი, საპირფარეშოებში დამონტაჟდა გამოსაცვლელი მაგიდები.[60]

2.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ საგზაო ინფრასტრუქტურაში გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

<u>რეკომენდაცია 13:</u>

[57] "Recommended Guidelines/Priorities for Sidewalks and Walkways", Federal Highway Administration (FHWA)
[58] "Using best worst scaling to identify barriers to walkability" a study of Porto Alegre, Brazil, Researchgate publication, 2019
[59] "Gender mainstreaming in Vienna" examples, Department for Gender Mainstreaming
[60] "Gender mainstreaming in Vienna" examples, Department for Gender Mainstreaming

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე დასახლებულ პუნქტებში ტროტუარების მოწყობა გზების რეაბილიტაციის თანადროულად და განსაკუთრებული აქცენტით საცხოვრებელ ქუჩებზე, სკოლის მიმდებარე ქუჩებსა და საცხოვრებელ უბნებს შორის დამაკავშირებელ გზებზე.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 14:</u>

მუნიციპალიტეტებისთვის გამოცდილების გაზიარება ტროტუარებისთვის საჭირო ადგილის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად მოსახლისგან მიწის გამოსყიდვის თაობაზე.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის პირველი კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 15:</u>

ცვლილების პროექტის მომზადება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654-ე დადგენილებაში და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელს პროექტებს ჩამონათვალში, გზებსა და გზისპირა მოსაცდელებთან ერთად ტროტუარების დამატება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: დადგენილების პროექტის ავტორობის ნაწილში - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. დადგენილების მიღების ნაწილში - საქართველოს მთავრობა.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 16:</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებთან ბარიერების მოწყობის საჭიროებების კვლევა და გზების დანიშნულების შესაბამისად ბარიერის დამონტაჟების მოთხოვნით მუნიციპალიტეტისათვის ან საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის მიმართვა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 17:</u>

დასახლებებში საგზაო სამუშაოების პრიორიტეტულად საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებებამდე და ადმინისტრაციულ შენობებამდე მისასვლელ დასარეაბილიტირებელ საავტომობილო გზებზე განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 18:</u>

გარე განათებით დასახლებების შიდა უბნებისა და დასახლებული პერიფერიული ადგილების დაფარვა. პერიოდულად გარე განათებების ნათების მონიტორინგის განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 19:</u>

დასახლებაში გამავალი კაპიტალური სანიაღვრე არხების მოწყობა და შესაბამისი გარემო პირობების გათვალისწინებით გადახურვა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 20:</u>

სოფლებში რეკრეაციული ტერიტორიების ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდა და პრიორიტიზაცია. რეკრეაციული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტიანად განხორციელება. პარკების დიზაინისას გენდერული ასპექტების გათვალისწინება და შესაძლებლობის შემთხვევაში ადგილების გამოყოფა მცირეწლოვანი ბავშვების სათამაშო მოედნებისათვის, ფრენბურთის და ბადმინტონის სათამაშოდ, გორგოლაჭებით სეირნობისა და კლდეზე ცოცვისათვის.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის სფერო

3.1 წყალმომარაგების სფეროს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

გენდერული უთანასწორობა არსებობს ყველა ქვეყანაში და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში, რომელიც ასევე ვლინდება წყალთან დაკავშირებით წვდომის, მართვის და

სარგებლობის მიმართულებით.[61] პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის თანახმად, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ უსაფრთხო სასმელი წყლის უნივერსალური ხელმისაწვდომობა და თანაბარი საზოგადოებრივი განაწილების ეფექტური სისტემების დანერგვა.[62]

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,[63] აღსანიშნავია, რომ ისეთი ნაგებობებით წყალსარგებლობა, როგორიცაა გუბურა, მიწისქვეშა წყლების შახტური ჭა და სხვა, არის უფასო და არ საჭიროებს ლიცენზიას. ლიცენზიას ექვემდებარება წყალსარგებლობა ისეთი ნაგებობებისა და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით, რომელიც ხორციელდება, მათ შორის, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების მიზნებისათვის. სასმელი წყლის მიწოდება წყლის მომხმარებლისთვის ხორციელდება წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით.[64]

საქართველოს წყლით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა განეკუთვნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის სფეროს.[65] ამ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი, ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება ასევე სამინისტროს კომპეტენციაა.[66] წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ხედვა და პოლიტიკის განაცხადის მიხედვით, სამინისტრო უზრუნველყოფს ქალების, ფინანსურად ნაკლები შესაძლებლობის მქონე პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებებზე წვდომას, მათი, როგორც მომხმარებლებისა და აბონენტების, ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამინისტრო წაახალისებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება ქალების მმართველ რგოლებში ჩართულობის, ქალების წყლისა და წყალარინების სექტორში დასაქმების გაზრდისაკენ და ამავდროულად მოიკვლევს თანაბარი ანაზღაურების საკითხებს.[67]

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში კომისია) ახორციელებს წყალმომარაგების სექტორის საქმიანობის რეგულირებას, ზედამხედველობას და ლიცენზიის გაცემას წყალმომარაგების ლიცენზიანტზე. ლიცენზირებული წყალმომარაგების საწარმო არის შესაბამისი სტანდარტის ხარისხის სასმელი წყლის მიმწოდებელი მომხმარებლისთვის, რომელსაც ასევე ევალება სასმელი წყლის ხარისხის მუდმივი კონტროლი.[68] საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ლიცენზიანტი

---

[61] "GENDER EQUALITY AND THE HUMAN RIGHTS TO WATER AND SANITATION", Mr. Léo Heller, UN Special Rapporteur on the right to water and sanitation

[62] Beijing Declaration and Platform for Action

[63] საქართველოს კანონის "წყლის შესახებ"

[64] საქართველოს კანონი "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ"

[65] "საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 ივლისის N385 დადგენილება

[66] "საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ", საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 2 აგვისტოს N33/ნ ბრძანება

[67] "წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ხედვა და განაცხადი" საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2021

[68] საქართველოს კანონი "ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ"

არის შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია ემსახურება 306 000-ზე მეტ საყოფაცხოვრებო და 19 000 - მდე არა საყოფაცხოვრებო აბონენტს.[69]

ამასთან, წყალმომარაგების სფეროში მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა. ამ უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტი ახორციელებს იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიანტი მიმწოდებელი არ ოპერირებს. მუნიციპალიტეტები ასევე ახორციელებენ წყალმომარაგების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.[70]

შესაბამისად, წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით ინტერვენციები შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ქვემოთ მოცემული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში:

ილუსტრაცია #2

3.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

ქალაქების მოსახლეობის დაახლოებით 92%-ს და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 64%-ს წყალი ონკანით მიეწოდება, მაშინ როცა ქალაქის მოსახლეობის 84%-ს და სოფლად მცხოვრებ 20%-ს მიუწვდება ხელი კანალიზაციაზე, ხოლო მთელი მოსახლეობის მხოლოდ 36% სარგებლობს წყალარინების გამწმენდი სისტემით.[71] მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დასახლებების 20%-ზე მეტს წყალი მიეწოდება გრაფიკით.

წყალი გამოიყენება არა მხოლოდ სასმელად, არამედ საკვების მოყვანისა და მომზადებისთვის, შინაური ცხოველების მოვლისთვის, პირადი ჰიგიენისთვის, ავადობის მართვისთვის, წმენდისთვის, რეცხვისთვის და ნარჩენების წყალარინებისთვის.[72] წყალმომარაგების უწყვეტ მიწოდებას საყოფაცხოვრებო დონეზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯანმრთელობაზე და

[69] „წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ხედვა და განაცხადი" საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2021
[70] საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"
[71] "საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" მონაცემები, 2019
[72] "Gender, Water and Sanitation", A Policy Brief, Inter-agency Task Force on Gender and Water (GWTF), 2006

ამცირებს ქალების და გოგოების არა ანაზღაურებადი ზრუნვისა და შრომის ტვირთს.[73] უმეტეს საზოგადოებაში ქალებს უმთავრესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ოჯახის წყლით მომარაგებაზე, სანიტარიული ნორმების დაცვასა და ჯანმრთელობის მართვაზე. ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერული როლების გამო, ქალების მიერ მოხმარებული წყლის ოდენობა ბევრად აღემატება კაცების მიერ მოხმარებულ წყლის ოდენობას, ვინაიდან ქალების მიერ წყლის მოხმარება ძირითადად დაკავშირებულია საყოფაცხოვრებო საქმიანობასთან.[74]

წყალმომარაგების მიმართულებით თემატური მოკვლევის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

<u>წყლის მოგროვების და მოტანის ტვირთი ქალებისთვის -</u> 10-დან 8 შინამეურნეობაში, რომელსაც წყალი არ მიეწოდება, ქალები და გოგოები არიან პასუხისმგებელნი წყლის მოგროვებაზე. აქედან გამომდინარე, წყალმომარაგების სისტემების გაზრდას და ლიმიტირებული სასმელი წყლის სერვისებით მოსარგებლე მოსახლეობის წილის შემცირებას აქვს დადებითი გენდერული გავლენა.[75] აღნიშნულ სტატისტიკას ადასტურებს ჩატარებული სამიზნე ჯგუფის მოსმენების მიგნებები, კერძოდ, მონაწილეების მითითებით, წყლის ხელით მოტანა ძირითადად ქალებს და ბავშვებს უწევთ, რაც ხშირად წყალმომარაგების გრაფიკით მიწოდებით არის გამოწვეული, ხოლო კაცები ოჯახებს წყლით ძირითადად ავტომობილებით ამარაგებენ.

„ქალებს აქვთ გაწყვეტილი წელი წყლის ზიდვით. ამის წინ ვნახე, დედასთან ერთად სულ პატარა, 3 წლის ბავშვიც 2 ლიტრიანი წყლის ბოთლით მიდიოდა“ – აღნიშნავს სამიზნე-ჯგუფის მონაწილე.

<u>წყალმომარაგების გრაფიკით მიწოდება -</u> წყალმომარაგება გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს სოფლებშიც და ქალაქებშიც. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში აღნიშნავენ სამიზნე-ჯგუფების მონაწილე ქალები, რომ გარკვეულ დასახლებებში წყლის მიწოდება გრაფიკით ხორციელდება: მაგალითად, გრაფიკით 3 დღეში 1 საათით, 4 დღეში 2 საათით, 2 დღეში ერთხელ 3 საათით ან დღეგამოშვებით მოდის წყალი. მათი მითითებით, არსებობს სოფელი, სადაც 7 დღეში 2 საათით ან 10 დღეში ერთხელ მოდის წყალი ონკანში. ქალები უთითებენ, რომ ასეთი მდგომარეობა სტრესულია მათთვის, რადგან წყლის მარაგების მუდმივი კონტროლი უწევთ. ასევე, სოციალურად დაუცველ მოსახლეებს წყლის ავზების შეძენის საშუალება არ აქვთ და წყლის მოტანა წყაროებიდან უწევთ.

<u>წყლის მიწოდების ხარისხის გამო საოჯახო ტექნიკის გამოყენების სირთულეები -</u> სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალები უთითებენ, რომ რეცხვასთან დაკავშირებული საოჯახო საქმიანობები ძირითადად მათ მიერ ხორციელდება და ოჯახის წევრი კაცები არ მონაწილეობენ. შესაბამისად, საოჯახო ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეები მათ განსაკუთრებით უქმნის წინაღობებს შინშრომისას. ისინი, აღნიშნავენ, რომ გადაუხურავი სათავე ნაგებობების გამო წვიმის შედეგად ამღვრეული წყალი ხშირად სარეცხ მანქანას აზიანებს. ასევე, წყლის დაბალი

[73] "We must leverage women's voice and influence in water governance", Remarks by Åsa Regnér, Deputy Executive Director of UN Women, 2018

[74] "Water conservation awareness and practices in households receiving improved water supply", A gender-based analysis, Journal of Cleaner Production, 2017

[75] "Water and Gender", Water facts, UN Water

ნაკადის და გრაფიკის გამო საოჯახო ტექნიკის გამოყენების შეუძლებლობა ზრდის ქალების აუნაზღაურებელი შრომის ტვირთს და ამცირებს მათ დროით რესურსებს.

<u>სარწყავი წყლის პრობლემა -</u> მუნიციპალიტეტებში მწვავედ გამოვლინდა სარწყავი წყლის პრობლემა. სარწყავი წყლით მომარაგება პრობლემებს უქმნის ფერმერ ქალებსაც. სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ფერმერი ქალები უთითებენ, რომ ხშირად უშედეგო შრომა უწევთ და სათანადო მოსავალს ვერ იღებენ სარწყავი წყლის პრობლემის გამო. ხშირად მათი მოსავლიანობა დამოკიდებულია სეზონზე ნალექის მოცულობაზე, რაც არაპროგნოზირებადია. აღსანიშნავია, რომ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში ჩართული ქალების წილი მხოლოდ 37%-ია.[76] აღსანიშნავია, რომ სარწყავი წყლის პრობლემის გამო, მოსახლეობა სასმელ წყალს იყენებს სარწყავად, რაც თავის მხრივ იწვევს სასმელი წყლის დეფიციტს.

<u>წყლის ხარისხი -</u> გენდერული თანასწორობის კუთხით მნიშვნელოვანია უსაფრთხო წყლისა და სანიტარული სისტემის მართვა. ქალებსა და გოგოებზე არაპროპორციულად მოქმედებს უხარისხო წყლის, სანიტარული და ჰიგიენური სერვისების სიმცირე.[77] ჩატარებული სამიზნე-ჯგუფების მოსმენებიდან ერთ-ერთ პრობლემად გამოიკვეთა წყლის ხარისხი. მოსახლების მითითებით და მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იქ, სადაც ლიცენზიანტი კომპანია ოპერირებს, წყლის ხარისხი მოწმდება, თუმცა დანარჩენ დასახლებებში წყლის ხარისხის შემოწმება რეგულარულად არ ხორციელდება. სამიზნე-ჯგუფის მონაწილე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი უთითებს, რომ არსებობს სოფლები, სადაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სასმელი წყალი არ შემოწმებულა. აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ერთ-ერთი სოფლის წყლის შემოწმებისას, დადგინდა, რომ არ არის სასმელად ვარგისი. სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალები ეჭვობენ, რომ სხვა სოფლებშიც იგივე მდგომარეობაა.

<u>საკანალიზაციო სისტემების სიმწირე -</u> საკანალიზაციო ქსელებით უზრუნველყოფილი დასახლებების რაოდენობა მცირეა. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საკანალიზაციო სისტემა 65-მდე დასახლებაშია და ხშირად ნაწილობრივ ფარავს დასახლებებს. სამიზნე-ჯგუფის მონაწილეებმა მიუთითეს, რომ არსებობს შემთხვევა, როდესაც მრავალბინიანი სახლის კანალიზაცია ბუნებაში გაედინება და გარემოს აბინძურებს. ქალები უთითებენ, რომ კანალიზაციის არ არსებობა ართულებს საოჯახო სასტუმროების ფუნქციონირებას. სამიზნე-ჯგუფებში მონაწილე მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ ჰყავს სპეციალური ტექნიკა საკანალიზაციო სისტემების გასაწმენდად.

3.3 საუკეთესო პრაქტიკები

საუკეთესო პრაქტიკებს შორის არის აღსანიშნავია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობა სასმელი წყლის მოქალაქეებისთვის მიტანის კუთხით. გვალვების დროს, როდესაც მოსახლეობას წყალი არ მიეწოდებოდა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ცისტერნებით აწვდიდნენ მათ წყალს. 200 ლიტრის ოდენობის წყალი მიუტანეს ყველა ოჯახს,

[76] „ქალი და კაცი საქართველოში", სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, 2021
[77] Ibid

როგორც ქალაქ დედოფლისწყაროში ისე სოფლებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა სერვისმა დააკმაყოფილა წყალთან დაკავშირებული საბაზისო საჭიროებები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი წყალმომარაგების ყველაზე დიდი ლიცენზიატი შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ადგენს გენდერული თანასწორობის გეგმებს და აღნიშნული გეგმების შესაბამისად, წყლის ყაირათიან მოხმარებასთან დაკავშირებით ატარებს ტრენინგებს უშუალოდ ქალებისთვის, რომლებიც წყლის ძირითადი მომხმარებლები არიან.

სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ გენდერულად ინფორმირებული წყლის პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება წყალმომარაგების სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის ერთ-ერთი მექანიზმია. კენიამ ახალი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაითვალისწინა ხელმისაწვდომობის პოლიტიკის რეფორმა და წყალსა და კანალიზაციაზე დაერთებისათვის მიწის საკუთრების მოთხოვნის ალტერნატიული ფორმები შეიმუშავა.[78] სარწყავი წყალზე ქალების ხელმისაწვდომობის გაზრდის გამოცდილებასთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია, რომ პერუში სარწყავ წყალზე წვდომისთვის გაუქმდა მიწის საკუთრების მოთხოვნა, გამოიყო ქალებისთვის სარწყავი მიწების პორცია და გაიზარდა სარწყავ მენეჯმენტში ქალების როლის შესახებ ცნობიერება.[79]

ბრაზილიის უწყლო რეგიონში, რომელიც ხშირი გვალვებით ხასიათდება, სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივით, დაიწყო „წვიმის წყლის მოსავლის პროგრამა“. პროგრამა ითვალისწინებდა, სახლის სახურავიდან წვიმის წყლის შეგროვებას 16000 ლიტრიანი ნახევრად მიწისქვეშა ავზში, რომელიც უზრუნველყოფდა შინამეურნეობისათვის საკმარის წყალს რვა თვის განმავლობაში. პროგრამა ითვალისწინებდა პრიორიტეტის მინიჭებას ქალის მიერ მართული შინამეურნეობებისათვის, რადგან ასეთი ოჯახები უფრო მოწყვლადად და დაუცველად მიიჩნევა. ასევე, პროექტის ავტორებს გამოცდილებამ უჩვენა, რომ წყალმომარაგების პროექტი უფრო მდგრადია, როდესაც ქალები არიან პასუხისმგებელი სისტემის მართვასა და შენარჩუნებაზე. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქალების მიერ მართულ ოჯახებს მიენიჭა პრიორიტეტი იყო ის, რომ ქალები, რომლებიც იკავებენ ცენტრალურ როლს წყლის საყოფაცხოვრებო მენეჯმენტში, კაცებთან შედარებით ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაყიდდნენ საკუთრებაში არსებულ მიწას. აღნიშნული სისტემების აშენებით იზრდება, როგორც ოჯახის შემოსავალი, ასევე უძრავი ქონების ღირებულებაც. წყლის ხელმისაწვდომობა ქალებს დაეხმარა მიეღოთ შემოსავალი ბოსტნეულის, ხილის კულტივირებით, ან ცხოველების მოშენებით.[80]

3.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ წყალმომარაგების მიმართულებით გამოვლენილი გამოწვევები შესაბამისად მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

<u>რეკომენდაცია 21:</u>

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების და მუნიციპალიტეტების მიერ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შეფასებისას და

[78] "How Countries Can Improve Access to Water for Women", Article, Bhuvan Bhatnagar and Rosemary Rop, 2015
[79] Ibid
[80] "Brazil rainwater harvesting helps women in semi-arid region", Case study

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენისას წყალმომარაგების პროექტების გენდერული ხასიათის გათვალისწინება და პრიორიტეტიზაცია.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები და მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განრძობადი.

<u>რეკომენდაცია 22:</u>

ისეთ დასახლებებში, სადაც წყლის მიწოდება ხორციელდება გრაფიკით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრაქტიკის გაზიარება და მოსახლეობა უზრუნველყოფა წყლის ცისტერნით მიწოდების სერვისით.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განრძობადი.

<u>რეკომენდაცია 23:</u>

ყველა იმ დასახლებაში, სადაც არ ოპერირებს წყალმომარაგების ლიცენზიანტი, წყლის ხარისხის შემოწმება, რომელსაც მოსახლეობა სასმელად იყენებს. გამოვლენილი შედეგების საფუძველზე, მოსახლეობის სათანადო ინფორმირება სასმელად ვარგისი და ტექნიკური წყლის შესახებ.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები და სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 24:</u>

წყლის უყაირათოდ მოხმარებასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ქალების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 25:</u>

ფერმერების (სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირების) რეესტრის შექმნა, სადაც აისახება გენდერის ნიშნით ჩაშლილი მონაცემები, მათ შორის ფერმერული მეურნეობების რაოდენობა, რომელსაც ქალი ხელმძღვანელობს. სარწყავ წყალთან დაკავშირებული ქალების საჭიროებების გამოკვლევა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივების შემუშავება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 26:</u>

მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ და მიმდინარე წყალმომარაგების პროექტების თაობაზე ისეთი მექანიზმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ქალების სათანადო წვდომას აღნიშნულ ინფორმაციაზე.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 27:</u>

წყალმომარაგების ტარიფის სტრუქტურირების პროცესში წყალმომარაგების მოწყვლადი მომხმარებლის წრის განსაზღვრისას ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფების გათვალისწინება, როგორიცაა მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი მშობლები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 28:</u>

საკანალიზაციო სისტემების მშენებლობის მიმართულებით ინვესტიციების გაზრდა. გაუმართავი საკანალიზაციო სისტემების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი. ისეთ მრავალბინიანი სახლების ტერიტორიაზე, სადაც არ ოპერირებს წყალმომარაგების ლიცენზიანტი და საკანალიზაციო სისტემა გამოსულია მწყობრიდან, ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემების დამონტაჟების ხელშეწყობა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

4. ტრანსპორტირება

4.1 ტრანსპორტირების სფეროს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

გაეროს მდგრადი განვითარების მე-11 მიზნის შესაბამისად, სახელმწიფოებმა დასახლებები უნდა გახადონ ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი. 11.2 სამიზნე ინდიკატორის შესაბამისად, 2030 წლისთვის, საგზაო უსაფრთხოების განვითარებით და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაფართოების გზით ყველასთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სატრანსპორტო სისტემებზე წვდომა. სატრანსპორტო სისტემები

მორგებული უნდა იყოს ქალების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა საჭიროებებზე.[81]

საქართველოში ტრანსპორტის სფეროში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.[82] სახმელეთო ტრანსპორტის სფეროს ტექნიკურ რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას, მგზავრების გადაყვანისას და ტვირთების გადაზიდვისას უსაფრთხოებისა და უშიშროების ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და შესრულების ზედამხედველობა. აღსანიშნავია, რომ სააგენტო ახორციელებს ნებართვის გაცემას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანაზე, თუმცა არა მუნიციპალიტეტებს შორის სამგზავრო გადაყვანაზე. აღნიშნული საქმიანობა არ ექვემდებარება ნებართვის გაცემას.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა.[83] შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო ადგენს მარშრუტს მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებით. რეგულარული გადაყვანა არის მგზავრთა მრავალჯერადი გადაყვანა, რომელიც სრულდება განსაზღვრულ მარშრუტზე, მოძრაობის დადგენილი განრიგის შესაბამისად, რომლით სარგებლობის უფლებაც აქვს ნებისმიერ პირს. აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო სფეროს განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება[84] განხორციელდა 2020 წლის 17 ივლისს, რომლის შესაბამისად ყველა მუნიციპალიტეტს მიეცა შესაძლებლობა გასცეს ნებართვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე. ცვლილებამდე, მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს ჰქონდა აღნიშნული უფლებამოსილება. მიუხედავად აღნიშნულისა, დღეის მდგომარეობით, მუნიციპალური ტრანსპორტი მუნიციპალიტეტების მცირე რაოდენობაში ოპერირებს, რაც ზრდის სატრანსპორტო ხელმისაწვდომობაზე ბარიერებს.

შესაბამისად, სახელმწიფო სატრანსპორტო გადაყვანის სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით ინტერვენციები შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ქვემოთ მოცემული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში:

[81] Make cities and human settlements inclusive, safe, resilient and sustainable, SDG 11
[82] "ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ" საქართველოს კანონი
[83] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
[84] „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონი

ილუსტრაცია #3

4.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევები ცხადყოფს, რომ ქალებს და კაცებს გადაადგილების განსხვავებული მიზნები და რეჟიმები აქვთ. ქალები მობილობის უფრო კომპლექსურ ქცევებს მიმართავენ, რადგან უწევთ ეკონომიკურ საქმიანობას შეუთავსონ მზრუნველობითი როლი.[85] ქალთა მობილობა გენდერულად წინასწარგანსაზღვრულია და ძირითადად უკავშირდება მათ მიერ ყოველდღიური, ანაზღაურებული და აუნაზღაურებელი შრომის შესრულებას.[86] უმეტეს შემთხვევაში ქალებს მიჰყავთ შვილები სკოლაში, საბავშვო-ბაღში, წრეებზე და სხვა. ქალისთვის მგზავრობები დღის განმავლობაში ზოგადად უფრო მოკლე, ხშირი და დანაწევრებულია, რაც აჩენს ტრანსპორტირების მრავალი მოდელის გამოყენების საჭიროებას. კაცები ძირითადად გადაადგილდებიან სამსახური/სახლის მარშუტზე, დამოუკიდებლად და პიკის საათებში. ქალები ამჯობინებენ მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას, მაგალითად როგორიცაა მუნიციპალური ტრანსპორტი, ფეხით ან ველოსიპედით გადაადგილება, რაც მათ შორის, გამოწვეულია კერძო ავტომობილების ფლობის დაბალი მაჩვენებლით.[87] ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სოფლად ქალთა ყოველდღიური გადაადგილების მაჩვენებელი, ქალაქთან შედარებით, ნაკლებია.[88]

ტრანსპორტის არარსებობას უარყოფითი გავლენა აქვს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ სამიზნე-ჯგუფების მონაწილე 20-მა ქალმა მიუთითა, რომ ტრანსპორტის არ არსებობის გამო უარი უთქვამს დასაქმებაზე. ქალების მობილობა პირდაპირ არის დამოკიდებული მათი შემოსავლის ოდენობაზე. მცირე შემოსავლის მქონე ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი (38.4%) იშვიათად ან საერთოდ არ გადის სახლიდან.[89] სოფლად მაცხოვრებელ ქალებს გართულებული სატრანსპორტო მიმოსვლის გამო ქალაქში დასაქმება უჭირთ, დასაქმებულ ქალებს კი კერძო ავტომობილის შეძენა უწევთ.

[85] "Gender in transport", Publication, EIGE, 2017
[86] "ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021
[87] "Gender in transport", Publication, EIGE, 2017
[88] "ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021
[89] „ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

რაც შეეხება ინდივიდუალური ტრანსპორტის ფლობას, 2022 წლის აგვისტოს მდგომარეობით აქტიური სტატუსით რეგისტრირებული 967 046 მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრე არის კაცი, ხოლო 228 140 ავტომობილის მესაკუთრე ქალი.[90] შესაბამისად, რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილების მხოლოდ 19%-ს ფლობს ქალი. ასევე, მოქმედი მართვის მოწმობების მხოლოდ 27%-ს ფლობენ ქალები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მაღალმთიანი დასახლებების მქონე რეგიონებში, მაგალითად რაჭაში ქალების მანქანების ფლობის მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია საშუალო მაჩვენებელზე და 15%-ს შეადგენს, ხოლო მცხეთა-მთიანეთის შემთხვევაში 17%-ია.

ქალების სატრანსპორტო გადაადგილების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით თემატური მოკვლევის ფარგლებში ტრანსპორტირების სფეროში გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:

არასაკმარისი მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტი - საქართველოში მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს მუნიციპალური სატრანსპორტო მომსახურება. კერძოდ, მუნიციპალური ტრანსპორტი მოქმედებს მხოლოდ 23 მუნიციპალიტეტში და იფარება მხოლოდ 270-მდე დასახლება (8%).[91] ძირითადად სატრანსპორტო გადაყვანა ხორციელდება კერძო სამარშუტო ტაქსების მიერ. ევრო-სტანდარტის ავტობუსები მხოლოდ 10-მდე მუნიციპალიტეტში ოპერირებს.[92] ასევე, საქალაქთაშორისო გადაყვანა ხორციელდება კერძო ოპერატორების მიერ და თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაყრდნობით, სადაც მომსახურების მიწოდება დამოკიდებულია მოთხოვნაზე.[93] აღნიშნული გარემოებები ამცირებს ქალების მისაწვდომობას სატრანსპორტო სერვისებზე და ქმნის ბარიერებს გადაადგილებასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი ტრანსპორტი სოფლად მცხოვრებ ქალთა უმეტესობისთვის მიუწვდომელია, რადგან არ აქვს სრული გეოგრაფიული დაფარვა.[94]

ტრანსპორტის მოძრაობის არახელსაყრელი გრაფიკი - არსებული გრაფიკი და ტრანსპორტის მოძრაობის ჯერადობა, სამიზნე-ჯგუფების მონაწილე ქალებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით მუნიციპალური ან კერძო სამარშუტო ტრანსპორტი ქალაქიდან სოფლისკენ ხშირად 18:00 საათამდე ბრუნდება (მაგალითად, 16:00 საათზე, 17:00 საათზე). ტრანსპორტის ასეთი განრიგი სამუშაო გრაფიკს არ ემთხვევა, რაც პრობლემას უქმნის ძირითადად დასაქმებულ ქალებს ან ქალებს, ვისაც დასაქმება სურთ. ქალებს ასეთი გრაფიკის გამო უწვეთ დაიქირაონ ტაქსი, სამუშაო დღე ადრე დაასრულონ, სამუშაო დროში მოაწესრიგონ სხვა საჭირო საქმეებიც, ბავშვები ბაღში ქალაქში ატარონ, შეიძინონ ტრანსპორტი, დაემგზავრონ უცხოებს ან ნაცნობებს, გამოაკლდნენ პროფესიულ და არაფორმალური განათლების შესაძლებლობებს, ტრენინგებს, კინოს ჩვენებებს, ან საერთოდ უარი თქვან დასაქმებაზე.

„ყველაზე დიდი პრობლემა ჩემთვის ტრანსპორტი იყო აბიტურიენტობისას, ჩემი სოფლისკენ ბოლო რეისი 6 საათზე გადიოდა ქალაქიდან. 6 საათი ცუდი დროა, აბიტურიენტს ჭალის ბოლოდან სირბილით მიწევდა 5 კილომეტრის ამორბენა, რომ

[90] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები.
[91] მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია
[92] იგივე
[93] სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
[94] "ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

ტრანსპორტისთვის მომესწრო.“ –
აღნიშნავს სტუდენტი გოგო.

სამიზნე-ჯგუფიდან გამოვლინდა, რომ ტრანსპორტის გრაფიკის სამუშაო საათებთან შეუსაბამობის გამო დამსაქმებელ ქალებსაც ექმნებათ წინაღობები, რადგან უწევთ დასაქმებულები სამუშაო დროის დამთავრებამდე გაუშვან, რაც ბიზნესის წარმადობას ამცირებს. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ტრანსპორტის გრაფიკთან დაკავშირებით მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები უთითებენ, რომ გაჩერებებზე თითქმის არსად არის ტაბლოები დამონტაჟებული.

<u>სატრანსპორტო გადაყვანის მონიტორინგის ნაკლებობა -</u> ქალები უთითებენ, რადგან სატრანსპორტო მომსახურება არ კონტროლდება და შედეგად, კერძო სამარშუტო ტაქსის მძღოლები ხშირად ზერელედ ეკიდებიან სამგზავრო გადაყვანას სოფლად. არის შემთხვევები, როდესაც დადგენილი მარშუტით არ მოძრაობენ, სამუშაო დღეს აცდენენ ან ადრე ასრულებენ.

ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მუნიციპალური ავტობუსების მძღოლებიც არ იცავენ დადგენილ მარშუტს, ან არ აჩერებენ ყველა გაჩერებაზე, რადგან არ აქვთ ბევრი მგზავრის აყვანის მოტივაცია. ეს პრობლემებს უქმნის ქალებს, რეისის გამოტოვებისას დედებს შეიძლება საათობით მოუწიოთ პატარა ბავშვებთან ერთად ლოდინი გაჩერებაზე.

ქალები აღნიშნავენ, რომ ხშირად არსებული ტრანსპორტი გაუმართავია. კერძო ოპერატორები ძირითადად ძველი ტრანსპორტით გადაადგილდებიან, რაც უსაფრთხო არ არის. ასევე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტიც ხშირად ამორტიზირებულია.

<u>ტრანსპორტის საფასური -</u> ქალები უთითებენ, რომ კერძო ტრანსპორტის საფასური ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად არის შემთხვევები, როდესაც ერთი მიმართულების საფასური 6 ლარს აჭარბებს. მუნიციპალიტეტებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მუნიციპალური ტრანსპორტის საფასური მერყეობს 20 თეთრიდან 2 ლარამდე და არსებობს მუნიციპალიტეტები, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება უფასოა. ქალები კმაყოფილებას გამოხატავენ მუნიციპალური ტრანსპორტის დაბალი საფასურის გამო, თუმცა უთითებენ, რომ ასეთი სატრანსპორტო სერვისით ყველა დასახლება ვერ იფარება და სატრანსპორტო ხარჯი მაინც მაღალია მათთვის. ასევე, ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი მხოლოდ ქალაქში მოძრაობს, უთითებენ, რომ უწევთ საფასური გადაიხადონ სოფლიდან ქალაქამდე და უშუალოდ ქალაქში ცალკე მუნიციპალური ტრანსპორტირებისათვის.

სატრანსპორტო საფასური ხშირად არ არის ხელმისაწვდომი დასაქმებული ქალებისთვისაც. ტრანსპორტის საფასური ტვირთად აწევთ ისეთ მასწავლებლებს, რომელთაც სხვა სოფლებში უწევთ სკოლებამდე მისვლა და შესაძლოა, მათთვის ტრანსპორტირების ხარჯმა ანაზღაურების მესამედიც შეადგინოს. ქალები აღნიშნავენ, რომ სასწავლო დაწესებულებამდე ან დასაქმების ადგილამდე ტრანსპორტირების ღირებულებასთან შედარებით, ხშირად ქალაქში სახლის დაქირავებაც კი ნაკლებად ხარჯიანია.

ახალგაზრდა ქალი მიუთითებს, რომ მისთვის პროფესიულ სასწავლებლამდე მისვლის და უკან დაბრუნების სატრანსპორტო ღირებულება 20 ლარამდე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ყველა რეგიონში უკიდურესად დაბალია ქალების მობილობა განათლების მიღების მიზნით.[95]

ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში ფოკუს ჯგუფ დისკუსიიდან გამოვლინდა, რომ ექიმებს და ექთნებს ხშირად ტაქსით უწევთ კლინიკამდე მისვლა, რაც საკმაოდ ხარჯიანია. უთითებენ, რომ უმჯობესი იქნება ააიპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა“, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული კლინიკების მართვას, უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის ტრანსპორტირება კლინიკებამდე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი უთითებს, რომ ადაპტირებული ტრანსპორტი სოფლებში არ დადის და ხშირად ადაპტირებული ტაქსის გამოძახება უწევს, რაც ფიქსირებულად 60 ლარი ღირს ნებისმიერ მანძილზე. ასევე, ტაქსის დაქირავება უწევთ ზღვისპირა ქალაქში სეზონურად დასაქმებულ ქალებს, რაც საკმაოდ ხარჯიანია.

<u>ფეხით გადაადგილება -</u> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის კვლევის „ქალები და მობილობა“ შესაბამისად, ქალების ძირითადი გადაადგილების საშუალება ფეხით გადაადგილებაა. თემატური მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული სამიზნე-ჯგუფიდან გამოვლინდა, რომ ქალები ხშირად სამსახურში მისასვლელად ფეხით გადაადგილდებიან და კილომეტრების გავლაც კი უწევთ. მაგალითად, ექთნები აღნიშნავენ, რომ ხშირად ფეხით უწევთ გადაადგილება, როგორც სამსახურში, ისე პაციენტამდე მისასვლელად. უთითებენ, რომ ხშირად 3-4 კილომეტრსაც კი გადიან თოვლსა და სიცივეში.

სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალები აღნიშნავენ, რომ არის შემთხვევები, როდესაც პირველკლასელებს მძიმე ჩანთით 2 კილომეტრის გავლა უწევთ სკოლებამდე და დაახლოებით ნახევარი საათი გზაში არიან.

ფეხით გადაადგილებისას წინაღობებს შორის, სამიზნე-ჯგუფის მოსმენების მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ უპატრონო ძაღლების სიმრავლეზე. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვებს სკოლისკენ მიმავალ გზაზე უპატრონო ძაღლები საკვებს ართმევენ. სამიზნე-ჯგუფის მონაწილე მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მას ხშირად მიმართავენ მშობლები წუხილით, რომ უპატრონო ძაღლების გამო ბავშვს სკოლაში მარტო ვერ უშვებენ. სამიზნე-ჯგუფებიდან გამოვლინდა, რომ უპატრონო ძაღლები ფეხით გადაადგილებისას ასევე წინაღობებს უქმნის ექიმებს და ექთნებს.

> „ღამე მიწევს ხოლმე გარეთ გამოსვლა, სამსახურიდან გათავისუფლებაც კი ვითხოვე, რადგან ძაღლების მეშინია. ძაღლის ნაკბენით ბევრი პაციენტი შემოდის სამედიცინო დაწესებულებაში“ - აღნიშნავს სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ექთანი.

<u>დამგზავრების პრაქტიკა -</u> დამგზავრებასთან დაკავშირებით ქალები აღნიშნავენ, რომ გოგოებისთვის ცუდ ტონად მიიჩნევა უცხო გამვლელებთან დამგზავრება, ხოლო თანასოფლელთან დამგზავრება მისაღებად მიაჩნიათ. თუმცა, სხვა მუნიციპალიტეტის სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალები უთითებენ, რომ კულტურული ბარიერების გამო მეზობელთან დამგზავრებაც ერიდებიან ქალები.

[95] "ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

„უცხოს ვერ დავემგზავრები, უხერხულია. მე არასდროს დამიქნევია ხელი კაცი მძღოლისთვის, მაგრამ შემოუთავაზებიათ და უარი მითქვამს “- აღნიშნავს სამიზნე-ჯგუფის მონაწილე.

<u>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის ტრასპორტირების ბარიერები -</u> მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყენება ეთნიკური უმცირესობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ასევე გამოწვევას წარმოადგენს. შშმ ქალი უთითებს, რომ სმენის არმქონე ადამიანისთვის გაჩერების დასახელების ხილვადობა არ არის უზრუნველყოფილი ახალ ავტობუსებშიც. ასევე, არ არის უსინათლოებისთვის ხმოვანი შეტყობინება გაჩერებებთან დაკავშირებით და ხშირად მძღოლს უწევს გაახმოვანოს გაჩერების სახელი.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები, კერძოდ კი ბოშა ქალები, საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო გამოწვევებს ხვდებიან სატრანსპორტო გადაადგილებისასაც მგზავრების მხრიდან. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ოჯახის მარჩენალის ფუნქცია მათ თემში ძირითადად ქალებს აქვთ შეთავსებული და შეუფერხებელი სატრანსპორტო გადაადგილება მათთვის უმნიშვნელოვანესია.

<u>სექსუალური შევიწროება ტრანსპორტში -</u> ქალთა მიმართ ძალადობის 2017 წლის ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში სექსუალური შევიწროება ცხოვრების განმავლობაში 5-დან 1 ქალს გამოუცდია, მათ შორის 70%-ს სექსუალური შევიწროება საჯარო ადგილებში - საზოგადოებრივ ტრანსპორტში, პარკებში, სკოლებსა და რესტორნებში - გამოუცდია.[96] სამიზნე-ჯგუფის მონაწილე ქალების ძალიან მცირე რაოდენობა უთითებს, რომ სექსუალური შევიწროება განუცდია ტრანსპორტში. აღნიშნავენ, რომ შევიწროებას ძირითადად გადაჭედილ ტრანსპორტში აქვს ხოლმე ადგილი. მიგნებად გამოვლინდა, რომ ცნობიერება სექსუალური შევიწროების დეფინიციისა და შემადგენლობის შესახებ საზოგადოებაში დაბალია და ასევე, ქალები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ვის უნდა მიმართოთ სექსუალური შევიწროების შემთხვევაში.

<u>დაურეგულირებელი საქალაქთაშორისო გადაყვანა -</u> სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ავტოსადგურების უმრავლესობა მოწყობილია პროექტის გარეშე აგებულ შენობებში, არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური, მოძრაობის, ეკოლოგიური და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები. გადამზიდველის ფუნქციას ახორციელებს ნებისმიერი, ხშირად არაკვალიფიციური, ფიზიკური ან იურიდიული პირი. სისტემატიური ხასიათი აქვს ავტოსადგურების ნაცვლად მგზავრთა გადაყვანას მასობრივი თავშეყრის ადგილებიდან. ადგილი აქვს არაჯანსაღ კონკურენციას, არ არსებობს მარშრუტებს შორის კოორდინაცია და მოძრაობის შეთანხმებული განრიგები. არ ხორციელდება ავტობუსის წინასარეისო ტექნიკური კონტროლი. მგზავრებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ავტოსადგურების, ავტობუსის რეისების ან სხვა საავტომობილო მომსახურების შესახებ. არ არსებობს ბილეთების ელექტრონულად შეძენის/დაჯავშნის საშუალება. სააგენტოს მითითებით, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში აღნიშნული გამოწვევების ეტაპობრივად მოგვარების და ქვეყნის შიდა სამგზავრო გადაყვანების

[96] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, საქსტატი, 2017

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით, მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

<u>ქალების დაბალი წარმომადგენლობა სატრანსპორტო გადაყვანის სფეროში</u> - მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლად მხოლოდ 26 ქალია დასაქმებული საქართველოს 2 მუნიციპალიტეტში - თბილისსა (მძღოლების 1,5%) და ზუგდიდში (მძღოლების 1%). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წლის აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულ პირებზე გაცემული D კატეგორიის ავტომობილის მართვის მოქმედ მოწმობას, რომელიც მგზავრთა გადასაყვანადაა განკუთვნილი და რომლის დასასხდომი ადგილები, მძღოლის ადგილის გარდა 8-ს აღემატება, მხოლოდ 89 ქალი ფლობს, რაც საერთო რაოდენობის 0,1%-ია. სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2017 წლიდან დღემდე, მძღოლის პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის/ბარათის (CPC DRIVER) მისაღებად საჭირო შემსწავლელ კურსზე რეგისტრირებულ დამსწრეთა რაოდენობა 2618 პირს წარმოადგენს, მათ შორის ქალი მხოლოდ ერთია. მუნიციპალიტეტებს იმ მუნიციპალიტეტებისათვის, სადაც მუნიციპალურ ტრანსპორტში ქალი მძღოლები მუშაობენ, გამოცდილების გაზიარება არ უთხოვიათ. აშკარაა, რომ ქალების სატრანსპორტო სფეროში დასაქმების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია და საჭიროებს სისტემურ წამახალისებელ მიდგომებს.

4.3 საუკეთესო პრაქტიკები

სატრანსპორტო სფეროში სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება და შესაბამისად, გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვა, არის ტრანსპორტის სფეროში გენდერული მეინსტრიმინგის ერთ-ერთერთი საუკეთესო მექანიზმი. ვენაში გენდერული ბიუჯეტის საფუძველზე, რომელსაც 2006 წლიდან ახორციელებს, მუნიციპალურმა სამსახურებმა და რაიონებმა შეაგროვეს მობილობის თაობაზე გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები. მონაცემების შესაბამისად აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო მეტად გადაადგილდებიან ფეხით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ვიდრე კაცები. შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოყო რესურსები ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის.[97]

ავტობუსების საჯარო საკუთრებაში მოქცევით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია გააუმჯობესოს სამგზავრო გადაყვანის სერვისი, გაზარდოს ხელმისაწვდომობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება. „ქალაქ ნოტინგემის ტრანსპორტი“ არის ადგილობრივი ხელისუფლების მფლობელობაში არსებული უდიდესი სატრანსპორტო ოპერატორი ინგლისში, რომელსაც აქვს მგზავრების კმაყოფილების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის პუნქტუალობის და ღირებულების თვალსაზრისით.[98]

გენდერული უსაფრთხოების აუდიტი დაეხმარა გაერთიანებულ სამეფოს გენდერულად ინკლუზიური სატრანსპორტო სისტემების მხარდაჭერაში. სხვა ქვეყნებში ჩატარებული ხელმისაწვდომობის აუდიტი მიზნად ისახავდა ხანდაზმული ადამიანების სოციალური იზოლაციის შემცირებას და „ასაკისთვის შესაფერისი“ ქალაქის კონცეფციის განხორციელებას.[99]

[97] "Towards Gender-Inclusive and Sustainable Transport Systems", Policy Paper, Tiffany Lam for UK Women's Budget Group, 2021
[98] "Nottingham's Buses Show that Public Ownership Works", Article, Lily Gordon Brown, 2021
[99] "Age-Friendly Tyburn", Tyburn Audit Report, 2019

დიდ ბრიტანეთში ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის **„მოწმის ინტერვენციის ტრენინგები“ ტარდება.** ასეთი ტრენინგების საჭიროება თავს იჩენს, რადგან შევიწროების აღსაკვეთად უსაფრთხოდ ჩარევის შესახებ საზოგადოებაში ცოდნა დაბალია.[100]

ტრანსპორტის სექტორის დივერსიფიკაციისთვის ინვესტიციების განხორციელება მენტორულ პროგრამებში უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მისაბაძი მაგალითების და ტრანსპორტის მძღოლი ქალების მხარდამჭერის ნაკლებობამ შეიძლება, შეაფერხოს ქალების კარიერული წინსვლა კაცებით დომინირებულ ისეთ ინდუსტრიაში, როგორიცაა ტრანსპორტი. ქალთა მენტორინგის პროგრამებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქალთა მონაწილეობის გაზრდისა და ლიდერული უნარების გაძლიერების მიმართულებით. გაერთიანებული სამეფოს სატრანსპორტო სფეროში ხორციელდება მენტორინგის პროგრამა, რომელიც ქალებს სთავაზობს სატრანსპორტო სფეროში პროფესიულ განვითარებას. ასევე ტარდება ფორუმი სექტორში ქალების დაბალი წარმომადგენლობის საკითხზე ყურადღების დასათმობად.[101]

პროექტ **„თბილისის ავტობუსების“** ფარგლებში, თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარებისა ბანკის (EBRD) დახმარებით, თანაბარი შესაძლებლობების, კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმართულებით, ავტობუსის ქალი მძღოლების მოსამზადებელ კურსები განხორციელდა.[102] გადამზადების კურსები წარმატებით უკვე ათეულობით ქალმა გაიარა, D კატეგორიის მართვის მოწმობა აიღო და მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებად დასაქმდა. პროექტის მიზანია სატრანსპორტო სექტორში თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. პროექტის ფარგლებში, ქალი მძღოლები, რომლებსაც 10 წლამდე ასაკის შვილები ჰყავთ, შეღავათიანი სამუშაო გრაფიკით სარგებლობენ, აქვთ გარკვეული დანამატი და შვილის შეძენის შემთხვევაში იღებენ ფულად დახმარებას.[103]

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიებისთვის დაწესებულია შეღავათიანი ტარიფი. მაგალითად მოსწავლეები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქ. ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი პირები, ვეტერანები, საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლები და თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, პენსიონერები, საბავშვო ბაღის თანამშრომლები, ბიბლიოთეკარები, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობენ უფასოდ.[104] ვინაიდან ჩამოთვლილი თითქმის ყველა ჯგუფის - მასწავლებლები, ბაღის აღმზრდელები, ბიბლიოთეკარები, მარტოხელა მშობლები, პენსიონერები[105], უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, აღნიშნული საშეღავათო სატრანსპორტო პოლიტიკა შეიძლება განხილულ იქნეს გენდერულად მგრძნობიარედ და სამაგალითო პრაქტიკად.

---

[100] "Towards Gender-Inclusive and Sustainable Transport Systems", Policy Paper, Tiffany Lam for UK Women's Budget Group, 2021

[101] Ibid

[102] https://tbilisi.gov.ge/news/6524

[103] https://reginfo.ge/people/item/13689-tbilisshi-avtobusebze-kidev-6-qali-mwgoli-imushavebs-%E2%80%93-kalawe

[104] „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 28 აპრილის N8 დადგენილება

[105] "ქალი და კაცი საქართველოში" სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, 2021

4.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ ტრანსპორტირების მიმართულებით გამოვლენილი გამოწვევები შესაბამისად მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

<u>რეკომენდაცია 29:</u>

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის სანებართვო პირობების დაწესება, მათ შორის კერძო სატრანსპორტო ოპერატორებისათვის. სანებართვოს პირობებში ისეთი გენდერული საჭიროებების გათვალისწინება, როგორიცაა ქალაქიდან სოფლებამდე მიმავალი ტრანსპორტის გრაფიკის შესაბამისობაში მოყვანა სამუშაო საათებთან.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 30:</u>

მუნიციპალიტეტებს შორის სატრანსპორტო გადაყვანის სფეროს რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს/ქალაქებს შორის მგზავრობის საჭიროების და მგზავრთა ნაკადების რაოდენობის კვლევა. აღნიშნული კვლევისას ქალების საჭიროებების გამოკვეთა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 31:</u>

მოსახლეობის სათანადო ინფორმირება მუნიციპალური, კერძო ტრანსპორტის თუ საქალაქთაშორისო კერძო ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტისა და გრაფიკის თაობაზე. მუნიციპალურ ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის და მარშრუტის თაობაზე ინფორმაციის გაჩერებების ტაბლოებზე დატანა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 32:</u>

სანებართვო პირობების შესაბამისად კერძო სატრანსპორტო ოპერატორებისათვის დაწესებული გრაფიკისა და მარშრუტის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 33:</u>

ავტოსადგურებზე კერძო მესაკუთრეების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მძღოლებისათვის და მგზავრებისათვის სქესის ნიშნით განცალკევებული საპირფარეშოებით აღჭურვაზე მონიტორინგის განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის მეოთხე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 34:</u>

სახელმწიფო მართვაში არსებულ კლინიკებში დასაქმებული ექიმების და ექთნების სატრანსპორტო საჭიროებების კვლევა და ამ საჭიროებების დაფარვისთვის შესაბამისი პროგრამის შემუშავება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 35:</u>

განათლების ხელმისაწვდომობის სერვისის ჯეროვნად უზრუნველყოფისათვის საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების სატრანსპორტო საჭიროებები კვლევა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 36:</u>

მუნიციპალური ტრანსპორტის და კერძო სატრანსპორტო ოპერატორების მიერ მარშრუტის დაგეგმვა პრიორიტეტულად საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებებამდე და ადმინისტრაციულ შენობებამდე. ასეთი ობიექტების მიმდებარედ შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით განათებული, გადახურული და ადაპტირებული მოსაცდელების მოწყობა. საგანმანთლებლო დაწესებულებების მიმდებარედ მოსაცდელების საჭიროებების იდენტიფიცირება განახორციელოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 37:</u>

მუნიციპალურ ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების დეფინიციის/შემადგენლობის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელსაც შეიძლება მიმართოს ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების მსხვერპლმა ან მოწმემ.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 38:</u>

ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება ქალი მძღოლების როლის შესახებ, რომელიც მართავს ავტობუსს ან მგზავრთა გადაყვანის სხვა სატრანსპორტო საშუალებას. ავტობუსის მძღოლი ქალების საქმიანობის პოპულარიზება საზოგადოებაში.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 39:</u>

სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას ბენეფიციარი ქალების სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა. რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სფეროში ქალების მძღოლებად დასაქმების ხელშეწყობა. იმ მუნიციპალიტეტების მიერ, სადაც ქალები დასაქმებულები არიან მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისათვის.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 40:</u>

სპეციალური პარკირების ადგილების გამოყოფა ბავშვის ეტლით მოსარგებლე მშობლებისათვის.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: განგრძობადი.

<u>რეკომენდაცია 41:</u>

ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაბამისი სტანდარტის მუნიციპალური ტრანსპორტის ადაპტირების, ავტობუსის გაჩერებებისთვის სახელწოდებების მინიჭების და აუდიო/ვიდეო გამოცხადების მექანიზმის დანერგვაზე გეგმის შემუშავება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 42:</u>

უპატრონო/ქუჩაში მცხოვრები ძაღლების პრობლემის გადასაჭრელად, საკანონმდებლო პაკეტის შემუშავების პროცესში ქალთა გადაადგილების საჭიროებების გათვალისწინება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მესამე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 43:</u>

მუნიციპალური, საქალაქთაშორისო და სარკინიგზო ტრანსპორტის ბენეფიციარების მონაცემების შეგროვება სქესის ნიშნით.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი: მუნიციპალიტეტები, სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტი სააგენტო“, სს „საქართველოს რკინიგზა“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

5. ინტერნეტზე წვდომა

5.1 ინტერნეტის ინფრასტრუქტურის სფეროს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადებათა გათვალისწინებით **შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა** და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.[106]

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრინციპია: საქმიანობისას და მიღებული შედეგების გამოყენებისას იურიდიულ და ფიზიკურ პირთა თანასწორუფლებიანობა.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში **საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს** ძირითადი ამოცანებია: ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროს განვითარებისა და სრულყოფის სტრატეგიის, პროგრამების შემუშავება, ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მის განხორციელებაში მონაწილეობა; ციფრული

[106] საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ"

უთანასწორობის აღმოფხვრა და ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარება.[107]

საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის მიზანია ერთიანი ნეიტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის შექმნა და სამიზნე გეოგრაფიულ არეალში ფართოზოლოვანი საბითუმო მომსახურებების განვითარება. ააიპ „ოუფენ ნეტი“ პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში აშენებულ ფართოზოლოვან ინფრასტრუქტურაზე, ქსელის მოვლაზე, მართვასა და ექსპლუატაციაზე.[108] საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველსაყოფად ხორციელდება ღონისძიებები სათემო ინტერნეტიზაციის ხელშეწყობისთვის.[109]

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი არის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. მისი ამოცანაა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების მიერ ბოლო მომხმარებლებისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის) ხარისხიანი მომსახურების მიწოდების, მათთვის მომსახურების ფართო არჩევანისა და სატარიფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საზოგადოებაში მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.[110]

შესაბამისად, ინტერნეტზე წვდომის სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით ინტერვენციები შეიძლება შეთავაზებულ იქნეს ქვემოთ მოცემული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში:

ილუსტრაცია #4

[107] „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილება

[108] „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N375 დადგენილება

[109] „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი

[110] საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ"

5.2 თემატური მოკვლევის ძირითადი მიგნებები

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა მაჩვენებლები ქალების შემთხვევაში - 76%-ია, ხოლო კაცების შემთხვევაში 77%-ს შეადგენს. მობილურ ტელეფონებს ქალების 90%, ხოლო კაცების 93% ფლობს.[111] ქალების მიერ მართული შინამეურნეობების მხოლოდ 59%-ს აქვს კომპიუტერი, თუმცა ინტერნეტი 81%-ს, ხოლო კაცების მიერ მართულ შინამეურნეობებში კომპიუტერის ფლობის მაჩვენებელი 67%-ია და ინტერნეტზე მისაწვდომობა 89%. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში ძალიან მსგავსია. ქალები და კაცები ერთნაირად ფლობენ კომპიუტერს და მობილურ ტელეფონებს და მათი ინტერნეტთან წვდომაც თანაბარია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.[112]

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხშირად მნიშვნელოვანი ინფორმაციები, როგორიცაა დასახლებების საერთო კრებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვების, პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენის შეხვედრების თაობაზე მუნიციპალიტეტების ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში ქვეყნდება, რასაც თავად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც ადასტურებენ. აღსანიშნავია, რომ ამავდროულად ინტერნეტის ფლობის მაჩვენებელი სოფლად დაბალია და ინტერნეტის არ ქონის გამო ყველა მოსახლემდე ვერ აღწევს აღნიშნული ინფორმაცია. ინფრასტრუქტურის ჭრილში ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, დასახლებების საერთო კრებებზე მოსახლეობა თავად ირჩევს მცირე ინფრასტრუქტურულ ღონისძიებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საჯარო განხილვისას და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენისას მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა დააყენოს საკუთარი ინფრასტრუქტურული საჭიროებები და ადვოკატირება გაუწიოს შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტის პრიორიტეტიზაციას.

მიუხედავად ინტერნეტზე წვდომის მიმართულებით არსებული თანაბარი გენდერული მაჩვენებლებისა, თემატური მოკვლევის ფარგლებში ინტერნეტზე წვდომის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები, რომელიც გენდერულ ხასიათს ატარებს:

ინტერნეტით დაბალი დაფარვადობა სოფლად - სამიზნე-ჯგუფებიდან გამოვლინდა, რომ ბევრი სოფელი ვერ სარგებლობს საკაბელო ან ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტით, თუმცა შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს მობილური ინტერნეტი. ყველაზე დიდი წინაღობები ინტერნეტზე წვდომის ბარიერებმა პანდემიისას მოსწავლეებს, დედებს და მასწავლებლებს შეუქმნათ. დედებს ინტერნეტი ძირითადად ონლაინ სწავლებისას სკოლისთვის დასჭირდათ. ინტერნეტის განსაკუთრებულ საჭიროებაზე ყურადღებას ამახვილებენ სამიზნე-ჯგუფის მონაწილე მასწავლებლები, რომელთა 87%-ს ქალები წარმოადგენენ.[113] ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა დღესაც აქტუალურია განათლების მიმართულებით, რადგან ხშირად მოსწავლეებს დავალებების შესასრულებლად ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება სჭირდებათ. ეს განსაკუთრებული გამოწვევაა დედებისთვის, რადგან მიიჩნევა, რომ ბავშვების მეცადინეობა ძირითადად მათი პასუხისმგებლობაა. ამას ცხადყოფს საქართველოში ჩატარებული 2020 წლის

[111] Digital Development Dashboards, Statistics about Georgia, International Telecommunication Union (ITU), 2021
[112] „ქალი და კაცი საქართველოში", სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, 2021
[113] იგივე

კვლევის ანგარიშის შედეგები, რომლის მიხედვით ყოველი მეოთხე მამა ამბობს, რომ არასოდეს დახმარებია შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში, მაშინ როდესაც ქალების 88% უთითებს, რომ საშინაო დავალების შესრულებაში დახმარება გაუწევია შვილისთვის. აღსანიშნავია, რომ დედების 75% ხშირად ან ძალიან ხშირად ამეცადინებს შვილს.[114] ამდენად, სოფლად ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება განსაკუთრებულად დადებითად აისახება საგანანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების შრომის შემსუბუქებაზე.

<u>მერის წარმომადგენლების ოფისებში ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა -</u> მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 280-ზე მეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულში არსებული მერის წარმომადგენლის ოფისი არ არის უზრუნველყოფილი ინტერნეტით. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სოფლებში ოფისების ინტერნეტით დაფარვის შემთხვევაში, მერის წარმომადგენელს მიეცემა მოქალაქის განცხადებების ელექტრონულად ატვირთვის შესაძლებლობა. შედეგად კი, მოსახლება მომსახურებას სახლთან ახლოს მიიღებს.

ელექტრონულ სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა მოსახლეობას და განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალებს უქმნით წინაღობებს გართულებული სატრანსპორტო მიმოსვლის პირობებში. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით სარგებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 55-64 წლის რესპონდენტებში დაფიქსირდა.[115] ამ უკანასკნელ ასაკობრივ ჯგუფის 55%-ს ქალები წარმოადგენენ,[116] რომლებიც იშვიათად გადაადგილდებიან, მათ შორის მუნიციპალური სერვისების მისაღებად. მაგალითად, 61 წელზე მეტი ასაკის ქალების ნახევარი იშვიათად ან საერთოდ არ გადის შინიდან.[117] ამდენად, სავარაუდოა, რომ ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის და ცნობადობის გაზრდა სოფელში განსაკუთრებით დადებით ეფექტს იქონიებს შუა ხნის და ხანდაზმული ქალების მუნიციპალურ სერვისებზე წვდომასთან მიმართებაში.

სამიზნე-ჯგუფებიდან გამოვლინდა, რომ გამოწვევას წარმოადგენს მერის წარმომადგენლების ოფისების კომპიუტერებით აღჭურვის საკითხიც და სოფლად არსებული ბიბლიოთეკებისთვის ინტერნეტის მიწოდებაც.

გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევამ (2016) დაადგინა, რომ გამოკითხული 193 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 61 სთავაზობს ქალებზე მორგებულ ონლაინ საჯარო სერვისებს. ქალებზე სერვისების მორგება ითვალისწინებს საჭიროებების და პრიორიტეტების იდენტიფიცირებას, სერვისების იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე მორგებას და სერვისების ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.[118]

<u>ICT სფეროში ქალების დაბალი წარმომადგენლობა -</u> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების პროგრამის კურსდამთავრებულთა 25% არის ქალი, ხოლო კაცი

---

[114] „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება", კვლევა, UNDP, UNFPA, 2020

[115] „საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა 2019", UNDP, 2021

[116] მოსახლეობის რიცხოვნობა, საქსტატი, 2022

[117] „ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

[118] "Incorporating a gender lens in e-service delivery", eGov4women Online Toolkit, 2018

75%. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში მიმდინარეობს 3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა, რომელიც გულისხმობს ბაზარზე არსებულ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პროფესიებში კვალიფიციური კადრების მომზადებას. პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატთა შორის მხოლოდ 27%, ხოლო ბოლო ეტაპზე 35% იყო ქალი.

5.3 საუკეთესო პრაქტიკები

პანდემიის დროს 2020 წლის დასაწყისიდან, კერძოდ კი პანდემიის დაწყებიდან უმოკლეს დროში ონლაინ-სწავლებისას განათლების ხელმისაწვდომობის გამოწვევების დაძლევისათვის ჯორჯიას შტატის განათლების დეპარტამენტმა იკვლია, რამდენ სტუდენტს, მოსწავლეს ან მასწავლებელს შეექმნა ინტერნეტზე წვდომის წინაღობები. შესაბამისმა ჯგუფმა დააიდენტიფიცირა შინამეურნეობები, სადაც მოსწავლეებს არ მიუწვდებოდათ ხელი ფართოზოლოვან ინტერნეტზე. აქცენტი გაკეთდა დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებზე. იდენტიფიცირების შემდეგ დაიგეგმა ნაბიჯები მიზნობრივი დახმარებისათვის და ასეთი ოჯახების ინტერნეტთან დაკავშირებისათვის, როგორიცაა მობილური Wi-Fi მოდემების გადაცემა, სკოლის ინტერნეტ-სიხშირის გაზრდა, Wi-fi ანტენების განთავსება და სხვა გადაწყვეტები.[119]

ადგილობრივი თვითმმართველობაში ციფრული ტექნოლოგიების სპეციფიკურ უპირატესობების გამოყენებით ელექტრონული სერვისები ზრდის ხელმისაწვდომობას, დროულობას და მოქალაქეთა ჩართულობას. ელექტრონული სერვისების ხელახალი დიზაინის დროს ქალების საჭიროებებისა და ინტერესების ცენტრში მოქცევა ხელს უწყობს ადგილობრივ მმართველობაში ქალების აქტიური ჩართულობისთვის ტრადიციული ბარიერების გადალახვას და ქალი მომხმარებლების საჯარო სერვისებით მდგრად კმაყოფილებას. ბევრ ქვეყანაში ერთი ფანჯრის პრინციპით ელექტრონული სერვისების მიწოდების ცენტრების შექმნა სოფლად, შორეულ თემებსა და ქალაქების ღარიბ უბნებში უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების მიერ საჯარო სერვისების ეფექტურ გამოყენებას, რაც ხშირად გართულებულია ინტერნეტთან კავშირის შეზღუდული წვდომით ან ციფრული წიგნიერების უნარ-ჩვევების ნაკლებობით. გასათვალისწინებელია, რომ კულტურულ კონტექსტში, სადაც გაბატონებული გენდერული ნორმები ზღუდავს ქალის ურთიერთობას არა ოჯახის წევრ მამაკაცებთან, ქალების აქტიურად ჩართვა საჯარო სერვისების გამცემის როლში, ზრდის ქალთა ხელმისაწვდომობას ელექტრონულ სერვისებზე.[120]

საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მიერ ციფრული სერვისების გამოყენებისა და ციფრული ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება ციფრული მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ინტერნეტისა და ციფრული სერვისების გამოყენების გაზრდას ქალებში ან ისეთ შინამეურნეობებში, რომელთა სათავეში ქალები იმყოფებიან; ეთნიკურ და სოციალურ უმცირესობებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში. პროგრამა აგრეთვე მოიაზრებს განსაკუთრებული ძალისხმევის მიმართვას მეწარმე ქალთა

[119] "Georgia's Approach to Rural Broadband", Georgia Annual IT Report FY 2021
[120] "Incorporating a gender lens in e-service delivery", eGov4women Online Toolkit, 2018

ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათი სახელმწიფო და კერძო ციფრულ პლატფორმების გამოყენების ხელშესაწყობად.[121]

სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ განახორციელა პროექტი „ინტერნეტი განვითარებისათვის“, რომლის ფარგლებში ვაუჩერები გაიცემოდა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეებისთვის და მეწარმეებისთვის, რომელსაც მაღალმთიან დასახლებაში ჰქონდა აქტიური სამეწარმეო სტატუსი. ვაუჩერი ფარავდა ინტერნეტის პირველადი ინსტალაციის ხარჯებს. ინტერნეტის პირველადი ინსტალაციასთან ერთად უზრუნველყოფილი იყო ტრენინგები ელექტრონულ წიგნიერებაში.

5.4 თემატური მოკვლევის რეკომენდაციები

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მიმართულებით გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად მომზადდა შემდეგი რეკომენდაციები:

<u>რეკომენდაცია 44:</u>

სოფლად, განსაკუთრებით კი მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსწავლეების და მასწავლებლების ინტერნეტზე წვდომის საჭიროებების კვლევა და გადაჭრის გზების მოძიება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის პირველი კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 45:</u>

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ოფისების ინტერნეტზე წვდომის და კომპიუტერული ტექნიკის საჭიროებების კვლევა და ამ საჭიროებების დასაფარად საქმიანობების დასახვა. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მოწყობამდე ალტერნატიული ღონისძიებების განხორციელება.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 46:</u>

მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე მუნიციპალური სერვისების მიღებისთვის ტრენინგების ჩატარება მერის წარმომადგენლებისათვის და სოფლად მცხოვრები ქალებისათვის.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: მუნიციპალიტეტები, სსიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“, სსიპ „კომუნიკაციების კომისია“.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

<u>რეკომენდაცია 47:</u>

[121] კომუნიკაციების კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

ICT სფეროში გოგოების მონაწილეობის წასახალისებლად ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

რეკომენდაციის შესრულების ვადა: არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

IV. რეკომენდაციების ცხრილი[122]

მუნიციპალიტეტები		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
1	მუნიციპალიტეტების მერების და საკრებულოს თავმჯდომარეების მიერ მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ თანამდებობებზე და მერის წარმომადგენელების პოზიციაზე ქალების წარმომადგენლობის გაზრდისათვის შესაბამისი წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება.	განგრძობადი
2	ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ქალების საქმიანობის პოპულარიზება საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.	განგრძობადი
3	უმაღლესი/პროფესიული განათლების საფეხურზე ინფრასტრუქტურის სპეციალობებით გოგოების/ქალების დაინტერესებისთვის ზოგადი განათლების საფეხურის დამამთავრებელი სკოლის მოსწავლე გოგოებთან შეხვედრების ჩატარება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
4	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების და საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარება გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
5	მუნიციპალიტეტების მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და სხვა კომუნიკაციის ფორმებთან ერთად დასახლების საერთო კრებებთან დაკავშირებით მოსახლეობის	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

[122] ამ თავის ცხრილში რეკომენდაციები ასახულია კონკრეტული სამინისტროების და დამოუკიდებელი უწყებების დონეზე, ხოლო მათ მართვაში არსებული და დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტების შესახებ მონაცემები ასახულია დეტალურად შესაბამისი თავის რეკომენდაციებში.

	ინფორმირების საშუალებად მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემის თანდათან დანერგვა.	
6	დასახლებების საერთო კრებების, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კონსულტაციების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვების თაობაზე ინფორმაციის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტენდებსა და ბაზრის შესასვლელებთან განთავსება.	არაუგვიანეს 2023 წლის მესამე კვარტლისა.
7	ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემდგომ მოსახლეობის, მათ შორის, დასახლებაში მცხოვრები ქალების კმაყოფილების შეფასება.	განგრძობადი
8	ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემდგომ მოსახლეობის, მათ შორის, დასახლებაში მცხოვრები ქალების კმაყოფილების შეფასება.	განგრძობადი
9	შესაძლებლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების ბენეფიციარების სქესის და ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მონაცემების წარმოების დაწყება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
10	დასახლებების საერთო კრებების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობის სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ასახვა. ასევე, ოქმში მოკლე ინფორმაციის სახით კრებებზე ქალების მიერ დაყენებული ინიციატივების და საჭიროებების ასახვა. ბიუჯეტის საჯარო განხილვების და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კონსულტაციების ოქმებში დამსწრეთა საერთო რაოდენობის სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ასახვა.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
11	ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მუნიციპალიტეტების მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
13	ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე დასახლებულ პუნქტებში ტროტუარების მოწყობა გზების რეაბილიტაციის თანადროულად და განსაკუთრებული აქცენტით საცხოვრებელ ქუჩებზე, სკოლის მიმდებარე ქუჩებსა და საცხოვრებელ უბნებს შორის დამაკავშირებელ გზებზე.	განგრძობადი
17	დასახლებებში საგზაო სამუშაოების პრიორიტეტულად საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებებამდე და ადმინისტრაციულ შენობებამდე მისასვლელ დასარეაბილიტირებელ საავტომობილო გზებზე განხორციელება.	განგრძობადი

18	გარე განათებით დასახლებების შიდა უბნებისა და დასახლებული პერიფერიული ადგილების დაფარვა. პერიოდულად გარე განათებების ნათების მონიტორინგის განხორციელება.	განგრძობადი
19	დასახლებაში გამავალი კაპიტალური სანიაღვრე არხების მოწყობა და შესაბამისი გარემო პირობების გათვალისწინებით გადახურვა.	განგრძობადი
20	სოფლებში რეკრეაციული ტერიტორიების ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდა და პრიორიტიზაცია. რეკრეაციული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტიანად განხორციელება. პარკების დიზაინისას გენდერული ასპექტების გათვალისწინება და შესაძლებლობის შემთხვევაში ადგილების გამოყოფა მცირეწლოვანი ბავშვების სათამაშო მოედნებისათვის, ფრენბურთის და ბადმინტონის სათამაშოდ, გორგოლაჭებით სეირნობისა და კლდეზე ცოცვისათვის.	გაგრძობადი
21	სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების და მუნიციპალიტეტების მიერ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შეფასებისას და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენისას წყალმომარაგების პროექტების გენდერული ხასიათის გათვალისწინება და პრიორიტიზაცია.	განგრძობადი
22	ისეთ დასახლებებში, სადაც წყლის მიწოდება ხორციელდება გრაფიკით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრაქტიკის გაზიარება და მოსახლეობა უზრუნველყოფა წყლის ცისტერნით მიწოდების სერვისით.	განგრძობადი
23	ყველა იმ დასახლებაში, სადაც არ ოპერირებს წყალმომარაგების ლიცენზიანტი, წყლის ხარისხის შემოწმება, რომელსაც მოსახლეობა სასმელად იყენებს. გამოვლენილი შედეგების საფუძველზე, მოსახლეობის სათანადო ინფორმირება სასმელად ვარგისი და ტექნიკური წყლის შესახებ.	არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.
24	წყლის უყაირათოდ მოხმარებასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ქალების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.	განგრძობადი
26	მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ და მიმდინარე წყალმომარაგების პროექტების თაობაზე ისეთი მექანიზმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ქალების სათანადო წვდომას აღნიშნულ ინფორმაციაზე.	განგრძობადი
28	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობის მიმართულებით ინვესტიციების გაზრდა. გაუმართავი საკანალიზაციო სისტემების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი. ისეთ მრავალბინიანი სახლების ტერიტორიაზე, სადაც არ ოპერირებს	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

	წყალმომარაგების ლიცენზიანტი და საკანალიზაციო სისტემა გამოსულია მწყობრიდან, ინდივიდუალური საკანალიზაციო სისტემების დამონტაჟების ხელშეწყობა.	
29	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანისათვის სანებართვო პირობების დაწესება, მათ შორის კერძო სატრანსპორტო ოპერატორებისათვის. სანებართვოს პირობებში ისეთი გენდერული საჭიროებების გათვალისწინება, როგორიცაა ქალაქიდან სოფლებამდე მიმავალი ტრანსპორტის გრაფიკის შესაბამისობაში მოყვანა სამუშაო საათებთან.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.
31	მოსახლეობის სათანადო ინფორმირება მუნიციპალური, კერძო ტრანსპორტის თუ საქალაქთაშორისო კერძო ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტისა და გრაფიკის თაობაზე. მუნიციპალურ ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის და მარშრუტის თაობაზე ინფორმაციის გაჩერებების ტაბლოებზე დატანა.	განგრძობადი
32	სანებართვო პირობების შესაბამისად კერძო სატრანსპორტო ოპერატორებისათვის დაწესებული გრაფიკისა და მარშრუტის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება.	განგრძობადი
36	მუნიციპალური ტრანსპორტის და კერძო სატრანსპორტო ოპერატორების მიერ მარშრუტის დაგეგმვა პრიორიტეტულად საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებებამდე და ადმინისტრაციულ შენობებამდე. ასეთი ობიექტების მიმდებარედ შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით განათებული, გადახურული და ადაპტირებული მოსაცდელების მოწყობა.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.
37	მუნიციპალურ ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების დეფინიციის/შემადგენლობის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელსაც შეიძლება მიმართოს ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების მსხვერპლმა ან მოწმემ.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
38	ავტობუსის მძღოლი ქალების საქმიანობის პოპულარიზება საზოგადოებაში.	არაუგვიანეს 2023 წლის მესამე კვარტლისა.
39	სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას ბენეფიციარი ქალების სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა. რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სფეროში ქალების მძღოლებად დასაქმების ხელშეწყობა. იმ მუნიციპალიტეტების მიერ, სადაც ქალები დასაქმებულები არიან მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისათვის.	არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.

40	სპეციალური პარკირების ადგილების გამოყოფა ბავშვის ეტლით მოსარგებლე მშობლებისათვის.	განგრძობადი
41	ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შესაბამისი სტანდარტის მუნიციპალური ტრანსპორტის ადაპტირების, ავტობუსის გაჩერებებისთვის სახელწოდებების მინიჭების და აუდიო/ვიდეო გამოცხადების მექანიზმის დანერგვაზე გეგმის შემუშავება.	არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.
43	მუნიციპალური, საქალაქთაშორისო და სარკინიგზო ტრანსპორტის ბენეფიციარების მონაცემების შეგროვება სქესის ნიშნით.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.
45	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ოფისების ინტერნეტზე წვდომის და კომპიუტერული ტექნიკის საჭიროებების კვლევა და ამ საჭიროებების დასაფარად საქმიანობების დასახვა. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მოწყობამდე ალტერნატიული ღონისძიებების განხორციელება.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
46	მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე მუნიციპალური სერვისების მიღებისთვის ტრენინგების ჩატარება მერის წარმომადგენლებისათვის და სოფლად მცხოვრები ქალებისათვის.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტო		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
2	ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ქალების საქმიანობის პოპულარიზება საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.	განგრძობადი
3	უმაღლესი/პროფესიული განათლების საფეხურზე ინფრასტრუქტურის სპეციალობებით გოგოების/ქალების დაინტერესებისთვის ზოგადი განათლების საფეხურის დამამთავრებელი სკოლის მოსწავლე გოგოებთან შეხვედრების ჩატარება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

7	ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შემდგომ მოსახლეობის, მათ შორის, დასახლებაში მცხოვრები ქალების კმაყოფილების შეფასება.	განგრძობადი
9	შესაძლებლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების ბენეფიციარების სქესის და ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მონაცემების წარმოების დაწყება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
10	რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დასახლებების საერთო კრებების ოქმის ერთიანი ნიმუშის შემუშავება და სარეკომენდაციო სახით გაზიარება მუნიციპალიტეტებისთვის, რომელშიც აისახება მონაწილეთა საერთო რაოდენობა სქესის, ასაკის და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
11	ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მუნიციპალიტეტების მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
12	2022 წლის მანძილზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის გენდერული გავლენის შეფასების განხორციელება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
14	მუნიციპალიტეტებისთვის გამოცდილების გაზიარება კანონმდებლობის შესაბამისად ტროტუარებისთვის საჭირო ადგილის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, მოსახლისგან მიწის გამოსყიდვის თაობაზე.	არაუგვიანეს 2023 წლის პირველი კვარტლისა.
15	ცვლილების პროექტის მომზადება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654-ე დადგენილებაში და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელს პროექტებს ჩამონათვალში, გზებსა და გზისპირა მოსაცდელებთან ერთად ტროტუარების დამატება.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
19	დასახლებაში გამავალი კაპიტალური სანიაღვრე არხების მოწყობა და შესაბამისი გარემო პირობების გათვალისწინებით გადახურვა.	გაგრძობადი
24	წყლის უყაირათოდ მოხმარებასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ქალების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა.	განგრძობადი
26	მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ და მიმდინარე წყალმომარაგების პროექტების თაობაზე ისეთი მექანიზმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ქალების სათანადო წვდომას აღნიშნულ ინფორმაციაზე.	განგრძობადი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
2	ინფრასტრუქტურის საკითხებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ქალების საქმიანობის პოპულარიზება საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.	განგრძობადი
9	შესაძლებლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურული პროექტების ბენეფიციარების სქესის და ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით მონაცემების წარმოების დაწყება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
30	მუნიციპალიტეტებს შორის სატრანსპორტო გადაყვანის სფეროს რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს/ქალაქებს შორის მგზავრობის საჭიროების და მგზავრთა ნაკადების რაოდენობის კვლევა. აღნიშნული კვლევისას ქალების საჭიროებების გამოკვეთა.	არაუგვიანეს 2024 წლის მეორე კვარტლისა.
31	საქალაქთაშორისო კერძო ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტისა და გრაფიკის თაობაზე. მუნიციპალურ ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის და მარშრუტის თაობაზე ინფორმაციის გაჩერებების ტაბლოებზე დატანა.	განგრძობადი
32	სანებართვო პირობების შესაბამისად კერძო სატრანსპორტო ოპერატორებისათვის დაწესებული გრაფიკისა და მარშრუტის დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელება.	განგრძობადი
33	ავტოსადგურებზე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მძღოლებისათვის და მგზავრებისათვის სქესის ნიშნით განცალკევებული საპირფარეშოებით აღჭურვაზე მონიტორინგის განხორციელება.	არაუგვიანეს 2024 წლის მეოთხე კვარტლისა.
38	ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელება ქალი მძღოლების როლის შესახებ, რომელიც მართავს ავტობუსს ან მგზავრთა გადაყვანის სხვა სატრანსპორტო საშუალებას. ავტობუსის მძღოლი ქალების საქმიანობის პოპულარიზება საზოგადოებაში.	არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.
39	სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისას ბენეფიციარი ქალების სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა.	განგრძობადი

	რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სფეროში ქალების მძღოლებად დასაქმების ხელშეწყობა.	
43	მუნიციპალური, საქალაქთაშორისო და სარკინიგზო ტრანსპორტის ბენეფიციარების მონაცემების შეგროვება სქესის ნიშნით.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.
44	სოფლად, განსაკუთრებით კი მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსწავლეების და მასწავლებლების ინტერნეტზე წვდომის საჭიროებების კვლევა და გადაჭრის გზების მოძიება.	არაუგვიანეს 2024 წლის პირველი კვარტლისა.
47	ICT სფეროში გოგოების მონაწილეობის წასახალისებლად ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
3	უმაღლესი/პროფესიული განათლების საფეხურზე ინფრასტრუქტურის სპეციალობებით გოგოების/ქალების დაინტერესებისთვის ზოგადი განათლების საფეხურის დამამთავრებელი სკოლის მოსწავლე გოგოებთან შეხვედრების ჩატარება.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
16	საჯარო სკოლებთან ბარიერების მოწყობის საჭიროებების კვლევა და გზების დანიშნულების შესაბამისად ბარიერის დამონტაჟების მოთხოვნით მუნიციპალიტეტისათვის ან საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის მიმართვა.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.
35	განათლების ხელმისაწვდომობის სერვისის ჯეროვნად უზრუნველყოფისათვის საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების სატრანსპორტო საჭიროებები კვლევა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.
36	მუნიციპალური ტრანსპორტის და კერძო სატრანსპორტო ოპერატორების მიერ მარშრუტის დაგეგმვა პრიორიტეტულად საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებებამდე და ადმინისტრაციულ შენობებამდე. ასეთი ობიექტების მიმდებარედ შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით განათებული, გადახურული და ადაპტირებული მოსაცდელების მოწყობა.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

	საგანმანთლებლო დაწესებულებების მიმდებარედ მოსაცდელების საჭიროებების იდენტიფიცირება განახორციელდეს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ.	
44	სოფლად, განსაკუთრებით კი მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსწავლეების და მასწავლებლების ინტერნეტზე წვდომის საჭიროებების კვლევა და გადაჭრის გზების მოძიება.	არაუგვიანეს 2024 წლის პირველი კვარტლისა.
47	ICT სფეროში გოგოების მონაწილეობის წასახალისებლად ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
23	ყველა იმ დასახლებაში, სადაც არ ოპერირებს წყალმომარაგების ლიცენზიანტი, წყლის ხარისხის შემოწმება, რომელსაც მოსახლეობა სასმელად იყენებს. გამოვლენილი შედეგების საფუძველზე, მოსახლეობის სათანადო ინფორმირება სასმელად ვარგისი და ტექნიკური წყლის შესახებ.	არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.
25	ფერმერების (სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირების) რეესტრის შექმნა, სადაც აისახება გენდერის ნიშნით ჩაშლილი მონაცემები, მათ შორის ფერმერული მეურნეობების რაოდენობა, რომელსაც ქალი ხელმძღვანელობს. ქალების საჭიროებების გამოკვლევა, რომელიც უკავშირდება სარწყავ წყალს და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივების შემუშავება.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.
28	გაუმართავი საკანალიზაციო სისტემების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი.	განგრძობადი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
34	სახელმწიფო მართვაში არსებულ კლინიკებში დასაქმებული ექიმების და ექთნების სატრანსპორტო საჭიროებების კვლევა და ამ საჭიროებების დაფარვისთვის შესაბამისი პროგრამის შემუშავება.	არაუგვიანეს 2024 წლის მეორე კვარტლისა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
37	მუნიციპალურ ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების დეფინიციის/შემადგენლობის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს საკონტაქტო მონაცემების გამოქვეყნება, რომელსაც შეიძლება მიმართოს ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების მსხვერპლმა ან მოწმემ.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
11	ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით მუნიციპალიტეტების მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.
39	იმ მუნიციპალიტეტების მიერ, სადაც ქალები დასაქმებულები არიან მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლებად, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სხვა მუნიციპალიტეტებისათვის.	არაუგვიანეს 2023 წლის მეოთხე კვარტლისა.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**

21	სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების და მუნიციპალიტეტების მიერ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შეფასებისას და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტების შედგენისას წყალმომარაგების პროექტების გენდერული ხასიათის გათვალისწინება და პრიორიტეტიზაცია.	განგრძობადი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
27	წყალმომარაგების ტარიფის სტრუქტურირების პროცესში წყალმომარაგების მოწყვლადი მომხმარებლის წრის განსაზღვრისას ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფების გათვალისწინება, როგორიცაა მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი მშობლები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.	არაუგვიანეს 2024 წლის ბოლო კვარტლისა.

კომუნიკაციების კომისია		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
46	მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე მუნიციპალური სერვისების მიღებისთვის ტრენინგების ჩატარება მერის წარმომადგენლებისათვის და სოფლად მცხოვრები ქალებისათვის.	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

სსიპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
46	მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე მუნიციპალური სერვისების მიღებისთვის ტრენინგების ჩატარება	არაუგვიანეს 2023 წლის ბოლო კვარტლისა.

	მერის წარმომადგენლებისათვის და სოფლად მცხოვრები ქალებისათვის.	

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი.		
რეკომენდაციის N	**რეკომენდაცია**	**შესრულების ვადა**
42	უპატრონო/ქუჩაში მცხოვრები ძაღლების პრობლემის გადასაჭრელად, საკანონმდებლო პაკეტის შემუშავების პროცესში ქალთა გადაადგილების საჭიროებების გათვალისწინება.	არაუგვიანეს 2023 წლის მეორე კვარტლისა.

V. გამოყენებული წყაროები

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women
3. Beijing Declaration and Platform for Action
4. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი
5. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“
6. საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“
7. საქართველოს კანონის „წყლის შესახებ"
8. საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ"
9. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"
10. საქართველოს კანონი „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ"
11. საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ"
12. საქართველოს კანონი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“
13. საქართველოს კანონი „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"
14. „საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 ივლისის N385 დადგენილება
15. „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის N172-ე დადგენილება
16. "საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის პოლიტიკისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ", საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 2 აგვისტოს N33/ნ ბრძანება
17. "წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების ხედვა და განაცხადი" საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2021
18. „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის N70 დადგენილება
19. "საქართველოში ფართო-ზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N375 დადგენილება
20. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 28 აპრილის N8 დადგენილება

კვლევები და სტატიები

1. "Human rights and infrastructure", KfW Development Research, 2018
2. Infrastructure for Gender Equality and the Empowerment of women, United Nations Office for Project Services (UNOPS), 2020
3. Benefits Gender Equality Through Infrastructure Provision: EU-wide survey, European Institute for Gender Equality (EIGE), 2020
4. Thematic evaluation "Asian Development Bank Support for Gender and Development (2005-2015)", 2017
5. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), 2018
6. "Survey on gender equality and public infrastructure", European Institute for Gender Equality (EIGE), 2020
7. Road safety toolkit "safer road treatments, street-lighting."
8. "Better lighting, wider pavements: steps towards preventing sexual violence in New Delhi" Case study, UN WOMEN, 2013
9. “Gender equality and sustainable infrastructure" OECD, 2019
10. "Using best-worst scaling to identify barriers to walkability", a study of Porto Alegre, Brazil, Researchgate publication, 2019
11. "Gender mainstreaming in Vienna" examples, Department for Gender Mainstreaming
12. "Recommended Guidelines/Priorities for Sidewalks and Walkways", U.S. Department of Transportation Federal Highway Administration
13. "Gender equality and the human rights to water and sanitation", Mr Léo Heller, UN Special Rapporteur on the right to water and sanitation
14. “We must leverage women's voice and influence in water governance”, Remarks by Åsa Regnér, Deputy Executive Director of UN Women, 2018
15. "Gender, Water and Sanitation", A Policy Brief, Inter-agency Task Force on Gender and Water (GWTF), 2006
16. "Water conservation awareness and practices in households receiving improved water supply", A gender-based analysis, Journal of Cleaner Production, 2017

17. "Water and Gender", Water facts, UN-Water
18. "How Countries Can Improve Access to Water for Women", Article, Bhuvan Bhatnagar and Rosemary Rop, 2015
19. "Brazil rainwater harvesting helps women in semi-arid region", Case study
20. "Gender in transport", Publication, EIGE, 2017
21. „ქალები და მობილობა", კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021
22. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, საქსტატი, 2017
23. "Towards Gender-Inclusive and Sustainable Transport Systems", Policy Paper, Tiffany Lam for UK Women's Budget Group, 2021
24. "Nottingham's Buses Show that Public Ownership Works", Article, Lily Gordon Brown, 2021
25. "Age-Friendly Tyburn", Tyburn Audit Report, 2019
26. Digital Development Dashboards, Statistics about Georgia, International Telecommunication Union (ITU), 2021
27. „ქალი და კაცი საქართველოში", სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, 2021
28. „კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება", კვლევა, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2020
29. "Incorporating a gender lens in e-service delivery", eGov4women Online Toolkit, 2018
30. "Georgia's Approach to Rural Broadband", Georgia Annual IT Report FY 2021
31. "Digitally empowered Generation Equality, Women, girls and ICT in the context of COVID-19 in selected Western Balkan and Eastern Partnership countries" International Telecommunication Union (ITU), 2021
32. "Selected stocktaking of good practices for inclusion of women in infrastructure", The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), 2021
33. „სამოქალაქო ჩართულობის მხარდაჭერა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში SMS-ების მეშვეობით", სტატია, 2016
34. "Making Infrastructure Work for Women And Men", A Review Of World Bank Infrastructure Projects (1995-2009)

VI. დანართი #1 - თემატური მოკვლევის კითხვარი

ფოკუს ჯგუფ დისკუსიების კითხვები მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებთან

1. **ქალების საჭიროებების კვლევა** - ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის ეტაპზე როგორ ითვალისწინებთ მოსახლეობის საჭიროებებს? ამ პროცესში ქალები და კაცები რამდენად თანაბრად მონაწილეობენ? იკვეთება თუ არა ქალების განსხვავებული საჭიროებები? ქალების დაყენებულ მოთხოვნებს თუ აღრიცხავთ და შემდგომ ითვალისწინებთ პროექტის დაგეგმვისას? ინფრასტრუქტურული პროექტების ბენეფიციარების სქესის ნიშნით მაჩვენებლებს თუ აწარმოებთ?
2. **თანაბარი ჩართულობა -** მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას რამდენად მონაწილეობენ ქალები გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მაგ. საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში და მერიის სამსახურში ქალების ჩართულობა). როგორ უზრუნველყოფთ მოსახლეობის ჩართულობის ფორმებში ქალების თანაბარ მონაწილეობას? თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენად ხშირად არიან ჩართულები უშუალოდ ინფრასტრუქტურის სამშენებლო საქმიანობაში ან მენეჯმენტში ქალები? ქალები არიან დასაქმებულები ავტობუსის მძღოლებად?
3. **საგზაო ინფრასტრუქტურა საჯარო ობიექტებამდე** - მუნიციპალიტეტში არსებულ სკოლებამდე, ბაღებამდე და სამედიცინო პუნქტებამდე მიდის ასფალტირებული გზა? სკოლასთან და ბაღთან თუ აქვთ გზებს სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერები, ე.წ „მწოლიარე პოლიციელები?" საჯარო ობიექტებთან არის ზებრა გადასასვლელები? აქვს ტროტუარებს პანდუსები?

4. **ტროტუარები, გარე განათებები -** გენდერული თანასწორობის ევროპის ინსტიტუტის მიერ გენდერული თანასწორობისა და საჯარო ინფრასტრუქტურის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგად, ევროპის ქვეყნებში კაცებთან შედარებით ქალები უფრო მეტად ადასტურებენ საჭიროებას ისეთ საჯარო ინფრასტრუქტურაზე როგორიცაა, ტრანსპორტი, ტროტუარი, გარე განათება, თქვენ თუ შეგინიშნავთ მსგავსი ტენდენცია, როდესაც მოსახლეობის საჭიროებებს იკვლევთ? რამდენად ანიჭებს მუნიციპალიტეტი პრიორიტეტს ტროტუარების და გარე განათებების ინფრასტრუქტურის მოწყობას?

5. **დასვენება, სპორტული ინფრასტრუქტურა -** გარე სავარჯიშო ტრენაჟორები რამდენად ახლოს მონტაჟდება გზასთან? ხომ არ გიკვლევიათ მიზეზები, გოგოები რატომ არ იყენებენ ტრენაჟორებს ისეთივე სიხშირით, როგორც ბიჭები? გასაჩერებელი და დასასვენებელი მოედნები გზის შემადგენელი ნაწილია. ნახსენები კვლევის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე ქალებმა უფრო მნიშვნელოვანად მიიჩნიეს მოსასვენებელი და გამწვანებული ადგილების ხელმისაწვდომობა, ვიდრე კაცებმა. არის თუ არა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი მოაწყოს ასეთი ადგილები და ფარავთ თუ არა სოფლის დასახლებებსაც?

6. **სატრანსპორტო დაფარვა -** მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მიდის თუ არა ტრანსპორტი? ხომ არ გაქვთ გეგმა, როგორ დაიფაროს სოფლების ყველა დასახლებული უბანი მუნიციპალური ტრანსპორტით? ტრანსპორტი თუ ჩერდება საგანმანათლებლო, ჯანდაცვის დაწესებულებასთან, დასაქმების ცენტრთან, გასაღების ბაზართან?

7. **ტრანსპორტის საფასური -** მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილებაზე თუ არსებობს საშეღავათო ტარიფები?

8. **მოსაცდელები -** ყველა გაჩერებაზე თუ გაქვთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელები და რამდენად აღჭურვილია შესაბამისი გარე განათებითა და ადაპტირებული ინფრასტრუქტურით? თუ არსებობს ადაპტირებული ტრანსპორტი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის?

9. **სექსუალური შევიწროება -** ხომ არ გაქვთ გეგმა საზოგადოებრივ ტრანსპორტში სექსუალური შევიწროების პრევენციის მიმართულებით?

10. **წყალმომარაგების არსებული მდგომარეობა -** თქვენი აზრით, წყლის გრაფიკით მიწოდება რა წინაღობებს შეიძლება უქმნიდეს ქალს? უწევს თუ არა მოსახლეობას წყლის მოგროვება და სახლში მიტანა? მუნიციპალიტეტი როგორ ეხმარება ასეთ დროს მოსახლეობას? გამოიყენება თუ არა ჭები სასმელი წლისათვის? ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, თუ ხდება ჭის წყლის ხარისხის შემოწმება? თქვენი ინიციატივით თუ მოწმდება ხარისხი?

11. **შეღავათი წყალმომარაგების მიმართულებით -** თუ არის მუნიციპალიტეტში შემუშავებული სპეციალური პროგრამა/შეღავათი წყალმომარაგებაზე მოწყვლადი მოსახლეობისთვის? ან ხომ არ გეგმავთ ასეთი პროგრამის შემუშავებას?

12. **სარწყავი წყალი -** სარწყავი წყლის პრობლემა რამდენად მწვავეა მუნიციპალიტეტში? ხომ არ ფლობთ ინფორმაციას რამდენი ქალი ფერმერია თქვენს მუნიციპალიტეტში? ხომ არ გიკვლევიათ ქალი ფერმერების საჭიროებები სარწყავი წყლის მიწოდების მიმართულებით?

13. **ინტერნეტის დაფარვა -** ხომ არ აწარმოებთ მოლაპარაკებებს კერძო ოპერატორებთან ინტერნეტით მეტი დასახლების დასაფარად?
14. **უფასო ინტერნეტით აღჭურვილი სპეციალური ადგილების მოწყობა -** დასასვენებელი ადგილები, სოფლის ცენტრები ხომ არ გაქვთ უზრუნველყოფილი უფასო WIFI-ით? ხომ არ გაქვთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით აღჭურვილი ლოკაცია, სადაც მოქალაქეს შეუძლია უფასოდ ისარგებლოს ამ სიკეთეებით?

ფოკუს ჯგუფ დისკუსიების კითხვები მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

1. თქვენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რამდენად ხშირად მოგმართავთ მოსახლეობა ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებით? რა სახით ეხმარებით მათ?
2. მუნიციპალიტეტი რამდენად თანამშრომლობაზე ორიენტირებულია, შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი ადვოკატირებით მოგვარებული ინფრასტრუქტურული პრობლემების მაგალითი?
3. გარე განათებები, ტროტუარები, ტრანსპორტის მოსაცდელები, საფეხმავლო ბილიკები, რამდენად მოწესრიგებულია სოფლებში?
4. რამდენად ხშირად იკვეთება ტრანსპორტირების პრობლემები მუნიციპალიტეტში? მასწავლებლებს, ექიმებს, ექთნებს, სკოლის და ბაღის ასაკის მშობლებს რა გამოწვევები ხვდებათ გადაადგილებისას?
5. ქალები რა სახის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითხოვენ ძირითადად? ხომ არ აწარმოებთ მუნიციპალიტეტში ქალების მიერ იდენტიფიცირებული საჭიროებების აღრიცხვას და ანალიზს?
6. ხომ არ ესწრებით ხოლმე დასახლების საერთო კრებებს? რა ტენდენცია იკვეთება, ქალები რა სახის ინიციატივებს აყენებენ? რამდენად თანაბარია ქალების ჩართულობა კრებებზე თქვენი დაკვირვებით? ხართ თუ არა მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში?
7. წყალმომარაგების მიმართულებით, რა გამოწვევებია დასახლებებში? ხომ არ დაგიყენებიათ მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის ხარისხთან დაკავშირებით საკითხი?
8. თუ ატარებთ ცნობიერების ამაღლების აქტივობებს მუნიციპალიტეტში ქალთა აუნაზღაურებელი საოჯახო შრომასთან დაკავშირებით? ხომ არ წარადგენთ კონკრეტულ საბიუჯეტო ინიციატივებს მუნიციპალიტეტებში, რომელიც შეამცირებს ქალების შინშრომის ტვირთს?
9. რამდენად ხშირად მართავთ შეხვედრებს სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან?
10. ხომ არ მიგიმართავთ მუნიციპალიტეტისთვის ისეთი სივრცეების გამოყოფის მოთხოვნით, სადაც მოსახლეობას ექნება უფასო წვდომა ინტერნეტსა და კომპიუტერზე?

ფოკუს ჯგუფ დისკუსიების კითხვები მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან

1. თქვენთვის პრიორიტეტულად, რომელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა მნიშვნელოვანი დასახლებაში?

2. ძირითადად როგორი გზებია თქვენს დასახლებაში - ქვიშა-ხრეშოვანი, გრუნტოვანი, ასფალტ-ბეტონის, ცემენტ-ბეტონის? მოწყობილია თუ არა ტროტუარები გზის მიმდებარედ? ტროტუარებს თუ აქვს პანდუსები?

3. რა პრობლემებს გიქმნით უტრანსპორტობა ან მოუწყობელი საგზაო ინფრასტრუქტურა? არაასფალტირებული გზა/ტროტუარების და გარე განათებების არარსებობა?

4. მოწყობილია გამწვანებული და მოსასვენებელი ადგილები თქვენს დასახლებებში? არის ასეთ ადგილებში უფასო უსადენო ინტერნეტი (WIFI)? თუ იყენებთ გარე ტრენაჟორებს? თუ არა, რა არის ამის მიზეზი?

5. რის გაუმჯობესებას ისურვებდით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით? გრაფიკი, ტრანსპორტის გამართულობა, მოსაცდელები თუ არის დამაკმაყოფილებელი?

6. რა სიხშირით მოძრაობს ტრანსპორტი თქვენს დასახლებაში? დღის განმავლობაში რამდენჯერ შეიძლება დაგჭირდეთ ტრანსპორტის გამოცვლა? ძირითადად რა მიზნით გადაადგილდებით ხოლმე ტრანსპორტით? გითქვამთ, თუ არა, უარი დასაქმებაზე ტრანსპორტის არარსებობის გამო? განგიცდიათ, თუ არა, სექსუალური შევიწროება ტრანსპორტში?

7. რა არის სასმელი წყლის ძირითადი წყარო? როგორი გრაფიკით მოგეწოდებათ წყალი? რა პრობლემები გექმნებათ უწყლობის გამო? იმ შემთხვევაში თუ წყლის მოგროვება გიწევთ, დაახლოებით, რა დროს ხარჯავთ ამ საქმიანობაზე?

8. საოჯახო საქმიანობა, როგორიცაა საჭმლის მომზადება, ჭურჭლის და ტანისამოსის გარეცხვა, სახლის დალაგება ძირითადად ვის მიერ ხორციელდება თქვენს ოჯახში?

9. რამდენად მწვავეა სარწყავი წყლის პრობლემა თქვენს დასახლებაში? პირადად რა გამოწვევებს აწყდებით ამ მიმართულებით?

10. სარგებლობთ თუ არა ოპტიკურ ბოჭკოვანი, საკაბელო ან მობილური ინტერნეტით? რამდენად ხელმისაწვდომია ინტერნეტის საფასური თქვენთვის? რამდენად კარგი დაფარვა აქვს ინტერნეტს თქვენს დასახლებაში? ძირითადად რისთვის იყენებთ ინტერნეტს? ყოფილა შემთხვევა, რომ სამსახურის მოძებნაში ან საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ინტერნეტის და კომპიუტერის არ ქონის გამო შეგქმნიათ პრობლემა?

11. ხომ არ აწყდებით გამოწვევებს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობის მიმართულებით? თქვენ მიერ დაყენებული ინფრასტრუქტურული პრობლემები, რამდენად ეფექტიანად და მოკლე დროში გვარდება?

12. დასახლებების საერთო კრებებს, რომელიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ტარდება, რამდენად ხშირად ესწრებით? თქვენი აზრით, ქალების

ჩართულობა ასეთ კრებებზე თანაბარია? ხომ არ გახსოვთ, ქალების ჯგუფის მიერ დაყენებული ინფრასტრუქტურული ინიციატივები? რამდენად აღწევს ქალთა ჯგუფის მიერ დაყენებული ინიციატივები მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერას? გრძნობთ მუნიციპალიტეტის სურვილს, რომ ქალების ხმა ისმოდეს თანაბრად ასეთ კრებებზე?

VII. დანართი #2 - თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

თემატური მოკვლევის ტექნიკური პირობები

თემატური მოკვლევის თემა	ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ
თემატური მოკვლევის მიზანი	თემატური მოკვლევის **მიზანია** საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებული ხარვეზების, გამოწვევებისა და პრობლემების შესწავლა ქალთა და გოგოებისათვის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის და ამრიგად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა; პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავების ხელშეწყობა, რომელიც მიზანმიმართული იქნება უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრისთვის თანაბარი წვდომა ისეთ რესურსებზე, როგორიცაა გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი და სასმელი წყალი. მოკვლევის **ამოცანებია:** ● სამართლებრივი, მარეგულირებელი, ინსტიტუციონალური და საოპერაციო ჩარჩოს მახასიათებლების გამოვლენა, რაც გავლენას ახდენს ქალებისა და გოგოების ინფრასტრუქტურაზე (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობაზე. ● დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი, რომელიც ასახავს ინფრასტრუქტურულ რესურსებზე ქალებისა და გოგოების წვდომის საკითხში არსებულ ხარვეზებს და წვდომის გაუმჯობესებაზე მიმართულ ინიციატივებს. ● მუნიციალური ხელისუფლების ორგანოებისთვის და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის რეკომენდაციების შემუშავება ინფრასტრუქტურულ რესურსებზე ქალებისა და გოგოების წვდომის გაუმჯობესებისთვის.

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები	მთავარი მომხსენებელი: ბაია კვიციანი ნინო წილოსანი მარიამ ლაშხი ხატია წილოსანი გიორგი ცაგარეიშვილი რამინა ბერაძე ანა ბუჩუკური
საკითხის შესახებ	ქალებისა და გოგოების წვდომა ინფრასტრუქტურულო რესურსებზე საერთაშორისო დღის წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში და ხაზგასმულია საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორების მიერ. მიუხედავად ბოლო წლებში, ქალების ინფრასტრუქტურულ რესურსებზე წვდომის გაძლიერების მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, დღეის მდგომარეობით, ეს საკითხი კვლავ რჩება გამოწვევად და ამ მხრივ არსებობს გაუმჯობესების და პოზიტიური შედეგების მიღწევის დიდი შესაძლებლობა. ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგების პრობლემებიდან საყურადღებოა მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა და ადგილზე მოქმედი კერძო კომპანიების მუშაობის თვითნებური ხასიათი, რაც ხშირად, სამგზავრო განრიგის ქაოტურობასა და მოუწესრიგებლობაში გამოიხატება. სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ ქალებს არ აქვთ თანაბარი წვდომა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებაზე, რაც სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ხარვეზებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ქალების მობილობის მაჩვენებელი განსხვავდება ქალაქებსა და სოფლებში, რაც სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობას უკავშირდება. ამასთან, ქალების დიდი ნაწილი

	სახლიდან არა საკუთარი, არამედ მასზე დამოკიდებული ოჯახის წევრების საჭიროებებისთვის გადის. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, საცხოვრებელი სივრცის მიხედვით (ქალაქი/დაბა,სოფელი) ყოველდღიური გადაადგილების მაჩვენებელი, სოფლად შედარებით ნაკლებია. ყოველდღიურად გადაადგილდება ქალაქში/დაბაში მცხოვრები ქალების 69%, ხოლო სოფლად მცხოვრები ქალების – 40.2%. ამას გარდა, სოფელში ქალების 32.7% იშვიათად, ან საერთოდ არ გადის სახლიდან, ხოლო 22.1% – მხოლოდ სამუშაო დღეებში გადაადგილდება. ეს მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია ქალაქში მცხოვრებ ქალებთან".[123] რაც შეეხება გადაადგილების მიზნებს, ქალები კაცებთან შედარებით ერთი დღის განმავლობაში მეტჯერ, სხვადასხვა მიზნებისთვის გადიან სახლიდან. კერძოდ, მათ უწევთ როგორც სამსახურში სიარული, ასევე დამოკიდებული/მცირეწლოვანი შვილების საჭიროებებზე ზრუნვა, ოჯახის წევრების უზრუნველყოფა პროდუქტებით, მედიკამენტებით, მოხუცი მშობლების მონახულება და მოვლა. სოფლებში ფეხით გადაადგილებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში არ არის, რაც ფეხით გადაადგილებას მეტად საფრთხის შემცველს ხდის.[124] სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა და მასზე ხელმისაწვდომობა აგრეთვე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. გამომდინარე იქედან, რომ ქალები მეტად არიან ჩართულები საოჯახო მეურნეობებში მათთვის სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა მეტ გამოწვევას წარმოადგენს. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, ზრდის საშინაო შრომის ტვირთს ქალებისთვის. შესაბამისად, ისინი ბევრად ნაკლებ დროს დაუთმობენ ანაზღაურებად საქმიანობას და ეკონომიკურად უფრო მოწყვლად მდგომარეობაში იქნებიან. ქალები განსაკუთრებით ხშირად უთითებენ სასმელი წყლის ვარგისიანობასა და წყლის მიწოდების გრაფიკზე. წყლის მიწოდების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ

[123] იხ.საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2020, https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf
[124] იხ. ომბუდსმენის კვლევა – "ქალები და მობილობა"https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/kalebi-da-mobiloba-kalta-qoveldghiuri-gadaadgilebis-aspektebi

	მეწარმე ქალებისთვის, რომლებსაც აქვთ საოჯახო სასტუმროები, რესტორნები თუ მიწის ნაკვეთები სოფლის მეურნეობის სფეროში.[125] გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები თვალნათლივ აჩვენებს, რომ ქალთა ეკონომიკური არააქტიურობის მთავარი მიზეზი საზოგადოებაში შრომის გენდერული ნიშნით დაყოფაა და ქალები არაანაზღაურებადი მოვლის უმეტეს ნაწილს ასრულებენ. ქალებსა და კაცებს შორის სამუშაო ძალაში მონაწილეობის არსებული განსხვავება შეიძლება თითქმის მთლიანად აიხსნას აღნიშნული ფაქტორით. აღნიშნულთან კავშირშია ისიც, რომ თითქმის ყველა სექტორში, კაცები ქალებზე მეტ საათს მუშაობენ (კაცები საშუალოდ კვირაში 43 საათს მუშაობენ, ხოლო ქალები - 36 საათს). არსებული შეფასებებით, საქართველოში ქალები სახლის აუნაზღაურებელ შრომაზე ხარჯავენ 3-ჯერ მეტ დროს, ვიდრე კაცები, განურჩევლად მათი შრომითი სტატუსისა.[126] აღსანიშნავია, რომ ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქალებისა და გოგოების მისაწვდომობა ინტერნეტზე. 2019 წლის გლობალური მონაცემები აჩვენებს, რომ ინტერნეტზე წვდომა 4.1 მილიარდ ადამიანს აქვს, დანარჩენ 3.6 მილიარდს კი - არა. მობილური კავშირის ქსელებით მსოფლიოს თითქმის მთელი მოსახლეობაა დაფარული, თუმცა ინტერნეტით მხოლოდ 53% სარგებლობს. გლობალურად ინტერნეტის მომხმარებლებს შორის გენდერული განსხვავება 17%-ს შეადგენს. კაცებთან შედარებით, სმარტფონი 327 მილიონით ნაკლებ ქალს აქვს. საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის (ITU) 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა თანაფარდობა გლობალურ საშუალო მაჩვენებელზე მაღალია და ქალების შემთხვევაში - 61.2%-ს, კაცების შემთხვევაში კი 64.5%-ს შეადგენს. მობილური ტელეფონის

[125] იხ. სახალხო დამცველის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება: https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf
[126] იხ. UN Women, ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, 2018https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications;

	მფლობელობის თვალსაზრისით, სქესთა შორის განსხვავება მხოლოდ 3%-ს შეადგენს, თუმცა სოფლებსა და ქალაქებს შორის ეს მაჩვენებელი საყურადღებოა.[127] აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კაცებთან შედარებით, საბაზისო ციფრულ უნარებს გაცილებით ნაკლები ქალი ფლობს. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 3% აღნიშნავს, რომ კომპიუტერთან მუშაობა კარგად იცის, ქალაქში მცხოვრებთა შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 18%-ს შეადგენს. ციფრული უნარების თვალსაზრისით, სქესთა შორის განსხვავება კიდევ უფრო დიდია იმ თემებში, რომლებიც სხვადასხვა კუთხით არიან მოწყვლადები (სიღარიბე, განათლების დაბალი დონე, ფორმალური დასაქმების ნაკლებობა, სიახლოვე გამყოფ ხაზებთან). ამასთან, ქალები უფრო ნაკლებ დროს ხარჯავენ ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობასა და საკუთარი უნარების გაუმჯობესებაზე. რადგანაც ქალები საშინაო შრომას მეტ დროს უთმობენ, ამის გამო, მათ სხვა აქტივობებისა და სწავლისთვის დრო აღარ რჩებათ. პარალელურად, ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომაში მათ ხელს გენდერული სტერეოტიპები და ოჯახში არსებული ძალადობრივი ურთიერთობებიც უშლით: როგორც წესი, მოძალადე (ძირითადად კაცები) მსხვერპლს (ძირითადად ქალებს) მობილური ტელეფონის გამოყენებას უზღუდავს. გარკვეულ როლს თამაშობს ისეთი სხვა სტერეოტიპებიც, როგორიცაა მაგალითად, შეხედულება, რომ ტექნოლოგია მხოლოდ კაცების საქმეა.[128]
ტექნიკური პირობები	
თემატური მოკვლევის ჯგუფი იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს) წერილობითი ფორმით დადასტურებული პოზიციების წარსადგენად ქალების ინფრასტრუქტურულ რესურსებზე წვდომის საკითხთან დაკავშირებით.	

[127] იხ. გლობალური მონაცემები: https://www.itu.int/en/itu-d/statistics/pages/facts/default.aspx
[128] იხ. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/Womens%20Economic%20Inactivity%20and%20Inf%20Employment%20Georgiageo.pdf

თემატური მოკვლევით დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა **2022 წლის 24 ივნისის ჩათვლით** ელექტრონულ მისამართზე gender@parliament.ge უნდა დაადასტურონ მონაწილეობის თაობაზე, მიუთითონ ინფორმაცია მათი წარმომადგენლის შესახებ - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, აგრეთვე, წერილობით წარმოადგინონ საკუთარი დასაბუთებული მოსაზრებები ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ ზოგიერთ ან ყველა კითხვაზე. მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს კონკრეტულ ფაქტებს/სტატისტიკურ ან სხვა მონაცემებს. ამასთანავე, უნდა მიეთითოს, რომელ კითხვასთან დაკავშირებით წარმოადგენს პირი ან ორგანიზაცია მოსაზრებებს. დოკუმენტურად დადასტურებული პოზიციები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: 1. რა არის ინფრასტრუქტურულ რესურსებზე (გზა, ტრანსპორტი, წყალი, ინტერნეტი) ქალების შეზღუდული წვდომის ძირითადი მიზეზები? 2. არსებობს თუ არა პრობლემები/ბარიერები სამართლებრივ, კულტურულ, მარეგულირებელ ან/და ინსტიტუციურ ჩარჩოში, რაც ხელს უშლის ქალების წვდომას აღნიშნულ რესურსებზე? 3. რა სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებები უნდა გატარდეს ქალების ინფრასტრუქტურაზე(გზა, ტრანსპორტი, წყალი, ინტერნეტი) უკეთესი წვდომის უზრუნველსაყოფად? მოკვლევის ჯგუფი შეისწავლის მონაწილე ორგანიზაციების ან პირების მიერ მოწოდებულ დასაბუთებულ მოსაზრებებს და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ზეპირი მოსმენისთვის მოიწვევს შესაბამის წარმომადგენელს. დოკუმენტზე მუშაობისა და ზეპირი მოსმენების საფუძველზე შემუშავებული იქნება რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით, თუ რა უნდა გაკეთდეს ქალების ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით.	
დოკუმენტური მასალების მოწოდების პირობები	• დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს Word-ის ან PDF-ის ფორმატში. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენისთვის შესაძლებელია Excel-ის ფორმატის გამოყენება; • ტექსტის სიდიდე (Word-ის ან PDF-ის ფორმატში) არ უნდა აღემატებოდეს 4 გვერდს;

	● დადასტურებულ პოზიციაში მოცემული უნდა იყოს ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც მისცემს სამუშაო ჯგუფს ანალიზის საშუალებას; ● სასურველია, დადასტურებული პოზიცია შეიცავდეს კონკრეტულ რეკომენდაციებს შესაბამისი უწყებებისადმი და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებს; ● უნდა იყოს მითითებული ინფორმაცია მომხსენებლის შესახებ სავარაუდო ზეპირ მოსმენებში მონაწილეობის მიღებისთვის. შეკითხვებზე პასუხები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: gender@parliament.ge
თემატური მოკვლევის განხორციელების გეგმა	**თემატური მოკვლევის ჩატარების პერიოდი: 2022 წლის 20 ივნისი - 30 ნოემბერი** *(პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში რეგლამენტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება)* ● დასაბუთებული მოსაზრებების/დოკუმენტაციის წარმოდგენა: **24 ივნისის ჩათვლით** ● მიღებული ინფორმაციის ანალიზი და ზეპირი მოსმენების ჩატარება: **სექტემბერი** ● დასკვნის მომზადება: **ოქტომბერი - ნოემბერი**